ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 6 მარტი, 2017 №54 (7289) ფასი: 50 თეთრი

„მათე მოტორსის“ მფლობელი გელა ბარკალაია მძიმე ბრალდებით დააკავეს

გვ.7

6 მარტიდან

ვიქტორ ჰიუგო

საბრალონი

ტომი IV



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ოქრუაშვილს ხალვაშის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს

„ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე, მის წილებზე, აქტივებზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე, მის წილთა შემძენ კომპანიებზე, რუსთავი 2-ის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე უფლებები ეკუთვნის თავდაცვის ყოფილ მინისტრს“.

გვ.3

„რუსთავი 2-ის საქმე სტრასბურში 15-20 წელი შეიძლება გაიწელოს“

„კარგი იქნება, რუსთავი 2 თუ გააჟღერებს იმ დოკუმენტს, რომელიც გაუგზავნა სტრასბურის სასამართლოს. მოგვიანებით ეს მაინც გახდება ცნობილი, რადგან იუსტიციის სამინისტროს, როგორც მხარეს, ამ დოკუმენტს მაინც გადასცემენ“

გვ.2

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციას ქუჩის აგორება გაუჭირდება“

გვ.3

მარგველაშვილი: „რუსთავი 2-ის გაჩერებით ქართულ დემოკრატიას სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ“

გვ.2

რა შედეგი ექნება ამერიკული დახმარების შემცირებას?

ნატოს გენმდივანი: „საქართველოსა და უკრაინას ნატოს წევრობაზე უარს ვერ ვეტყვით“

გვ.4

ISSN 1987-9385

კოკოითის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს

გვ.4

ზაალ კასრელიშვილი: „ავარეთ-კახეთის გზა არ უნდა გაიხსნას“

გვ.4

„სომხური დერეფანი რუსული პროექტია“

„რუსთავი 2-ის საქმე სტრასბურში 15-20 წელი შეიძლება გაიწელოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იურისტი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

რას ურჩევს შალვა ხაჭაპურიძე საქართველოს ხელისუფლებას

– ბატონო შალვა, საკმაოდ ხშირად გაქვთ შეხება სტრასბურის სასამართლოსთან. როგორ შეაფასებდით იმ მოვლენებს, რომლებიც რუსთავი 2-ის საქმის ირგვლივ განვითარდა?

– უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მე ვიზიარებ. ქიბარ ხალვაშის მხარე აპელირებდა ამორალურ გარიგებაზე და ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ნიკა გვარამია რომ აპელირებს, მსგავსი საქმე უკვე იყო უზენაეს სასამართლოში და უზენაესმა ეს საქმე 20 მაისს გააუქმაო, ეს იყო ჩვენი საქმე.

– რომელი საქმე?

– მე ვიცავდი და დღესაც ვიცავ ბიზნესმენ თამაზ ნიჟარაძის ინტერესებს, რომელიც ფოთის პორტს ეხება და ჩვენ ეს საქმე მოვუგეთ კეზერაშვილსა და დოლიძეს. პირველ და მეორე ინსტანციაში მოვიგეთ და გამოვიდა გადაწყვეტილება, რომ გარიგება იყო ამორალური, ხოლო უზენაესმა სასამართლომ ეს საქმე დააბრუნა უკან იმ მითითებით, რომ ამორალურ გარიგებას კიდევ უნდა დაემატოს, რომ ეს იყო ნების წინააღმდეგ დადებული გარიგება.

ჩვენ გერმანელი მეცნიერის შულემანის დასკვნაც გვაქვს, რომ ასეთი ტიპის გარიგებები არის ამორალური და ის ბათილად უნდა იქნეს ცნობილი. რუსთავი 2-ის საქმეზეც ქიბარ ხალვაშიც ანალოგიურს ითხოვდა. ეს არის კანონიერი, ხოლო რაზეც რუსთავი 2-ის მხარე აპელირებს, ეს არის სიცრუე და საზოგადოების შეცდომაში შეყვანა!

– რას იტყვით სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?

– ეს არის სტრასბურის სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი და ეს ღონისძიება გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და ამიტომ გადაწყვეტილება შეჩერებულ უნდა იქნეს.

– ეს სამოქალაქო საქმესაც ეხება?

– სამოქალაქო საქმეებზეც ყოფილა მსგავსი გადაწყვეტილებები მიღებული. ამის პრეცედენტი საქართველოში არ ყოფილა, თორემ ზოგადად ყოფილა სამოქალაქო საქმეებზეც. ანალოგიური გადაწყვეტილება მინდია უგრეხელიძესაც აქვს გამოტანილი ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე, რასაკვირველია, სხვა სახელმწიფო მაქვს მხედველობაში და არა – საქართველო. ამ ყველაფერს აქვს თავისი პროცედურები.

– რა სახისაა ეს პროცედურები?

– მას შემდეგ, რაც დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდებათ, უნდა გაიგზავნოს ეს გადაწყვეტილება მხარის მიერ სტრასბურის სასამართლოში, შემდეგ უნდა მიენიჭოს სარეგისტრაციო ნომერი, შემდეგ უნდა მოხდეს მისი დასაშვებად ცნობა, შემდეგ იწყება კომუნიკაციები, მხარეებს აძლევენ ვადას მათი პოზიციების წარმოსადგენად.

– ეს პროცედურები დარღვეულ იქნა თუ საით მიანიშნებთ?

– ამ შემთხვევაში არ იქნა დარღვეული. როგორც წესი, 39-ე მუხლით როცა შედის განცხადება, სწრაფად მიიღება გადაწყვეტილება, ერთი დღიდან ერთი კვირის ვადაში. ამიტომ, საქმე როცა 39-ე მუხლს ეხება, ფაქსით ხდება კომუნიკაცია. იმდენად სასწრაფოა საქმე, რომ ფაქსით ხდება დოკუმენტაციის გაგზავნა-გამოგზავნა.

რა დაინახა აქ სტრასბურმა სასწრაფო და საგანგაშო?! რა წერია დოკუმენტში, რომელიც რუსთავი 2-ის მხარემ გააგზავნა? კარგი იქნება, რუსთავი 2 თუ გააჟღერებს იმ დოკუმენტს, რომელიც გაუგზავნა სტრასბურის სასამართლოს. მოგვიანებით ეს მაინც გახდება ცნობილი, რადგან იუსტიციის სამინისტროს, როგორც მხარეს, ამ დოკუმენტს მაინც გადასცემენ.

– ასეთი რა უნდა მიეწერა?

– როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, რუსთავი 2-ს მიწერილი აქვს, რომ აქ შესაძლოა მოხდეს სისხლისღვრა, არეულობა, ხალხის ქუჩაში გამოსვლა და ასე შემდეგ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ დაამძიმეს სურათი?

– დაზაფრეს სტრასბურის მოსამართლეები. ამერიკის ელჩს გააკეთებინეს განცხადებები. მოკლედ, მუშაობა არ ეშლებათ. მე ვერც რუსთავი 2-ის იურისტებს გავამტყუნებ. იმიტომ ხარ მხარის მიერ დაქირავებული ადვოკატი, რომ დრამატიზება გააკეთო და დაამძიმო სურათი.

– 8 მარტამდე მოხდა შეჩერება. რა იქნება 8 მარტის შემდეგ?

– ჩვენ ამ მიმართულებით არ გვაქვს კარგი გამოცდილება, იმავე კეზერაშვილების, ახალაიებისა და სააკაშვილების საქმეს თუ გავიხსენებთ. იუსტიციის სამინისტრომ ამ პირების ინტერპოლის ძებნილთა სიიდან ამოღება სწორედ საერთაშორისო სტრუქტურებს გადააბრალა, მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ თავად ვერ იმუშავა კარგად.

– შესაძლოა, ახლაც იგივე გამეორდეს?

– მე მეშინია, ამ შემთხვევაშიც იგივე არ მოხდეს და ვერ გაიგზავნოს სათანადო დოკუმენტები. ეს იუსტიციის სამინისტროს არაკვალიფიციური მუშაობის შედეგი იყო. წესით, იუსტიციის სამინისტროს ეს შაბათ-კვირა არ უნდა დაესვენა და უნდა მოემზადებინა სათანადო დოკუმენტი, რათა სტრასბურის სასამართლომ ვერ შეძლოს შემოდავება. საზოგადოებას ვურჩევდი, შეწყვიტოს სტრასბურის სასამართლოს მოსამართლეების ლანძღვა-გინება. ეს მოსამართლეები თავიანთ ქვეყნებში ნომერ პირველი იურისტები არიან. ეს გადაწყვეტილება იყო დროებითი ღონისძიება და 8 მარტს მოხდება ამ გადაწყვეტილების გადახედვა.

– შესაძლებელია, ეს დროში გაიწელოს?

– თუ დარწმუნდა სტრასბური, რომ ამის აღსრულებით აქ სისხლისღვრა მოხდება, ქვეყანა დაიქცევა, სიტყვის თავისუფლება დასამარდება, ცხადია, სტრასბურის სასამართლო გააგრძელებს ამ ღონისძიებას, ანუ შეჩერებას.

თუ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოდგენილია იუსტიციის სამინისტროს სახით, კვალიფიციურად დაასაბუთებს, რომ არანაირად ქვეყანა არ ინგრევა, სიტყვის თავისუფლებას საფრთხე არ ემუქრება, აქ არის საუბარი მხოლოდ მფლობელის შეცვლაზე, მაშინ სტრასბურის სასამართლო ამ დროებით ღონისძიებას გააუქმებს.

– ითქვა, რომ სტრასბურის სასამართლოს არ შეუძლია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება რამენაირად შეცვალოს. ასეა?

– უამრავი კომენტარი მოვისმინე და გეტყვით, რომ არასწორი შეფასებები კეთდებოდა. სტრასბურის სასამართლოს ამ საქმისთვის პრიორიტეტი აქვს მინიჭებული. პირადად მე 10 საქმე მაქვს სტრასბურში, რომელსაც პრიორიტეტი აქვს მინიჭებული, გადის წლები, მაგრამ მათი განხილვა ჯერ არ დამთავრებულა. სტრასბურის სასამართლოს შეუძლია მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, რომელიც ვერ გააუქმებს უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას, თუმცა მხარეს, რომლის სასარგებლოდაც იქნება ეს გადაწყვეტილება გამოტანილი, ვთქვათ, რუსთავი 2-ის, შეუძლია, სტრასბურის გადაწყვეტილებით, როგორც ახლად გამოვლენილი გარემოებით, მიმართოს სააპელაციო სასამართლოს, რომ დაიწყოს საქმის თავიდან განხილვა.

ჯერ აპელაცია დასაშვებად უნდა ცნონ, მერე იწყება თავიდან განხილვა. თუ განიხილეს და არ მოგეწონა, მერე შეგიძლია, გაასაჩივრო უზენაესში. თუ წააგე, შეგიძლია, წახვიდე ისევ სტრასბურში.

– ანუ დაუსრულებელი პროცესია?

– ეს არის დაახლოებით 15-20 წლის ამბავი. ამის პარალელურად, შესაძლებელია, რომ არხის მფლობელიც შეიცვალოს და ისე განვითარდეს პროცესები. მე ვურჩევდი დღეს რუსთავი 2-ის მართლაც კვალიფიციურ ჟურნალისტებს, ჩამოირეცხონ ეს ლაქა, რომელიც ნაცმოძრაობას უკავშირდება. ხომ ხედავენ, რომ საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა არ აქვთ. საზოგადოებამ იცის თავისუფალი სიტყვის ფასი. გუშინდელი დღის მერე მათი რაღა უნდა ირწმუნო?!

– რას გულისხმობთ?

– ეს რომ მიშა სააკაშვილის ტელევიზიაა, ეს თავად სააკაშვილმა შაბათ საღამოს თავისი გამოხდომით თქვა.

მე ახლა ვუკარნახებ ჩვენს ხელისუფლებას, როგორ უნდა მოიქცეს – უნდა ამოჭრას სააკაშვილის გამოსვლა, თარგმნოს, დაადოს ტიტრებად და გააგზავნოს სტრასბურის სასამართლოში და თქვას: აქ სიტყვის თავისუფლებაზე კი არ არის საუბარი, არამედ ეს არის ერთი კერძო, პოლიტიკურად ანგაჟირებული კრიმინალის, რომელზეც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და არის ძებნაში, მის ხელში არსებული პროპაგანდისტული მანქანა!

რა დამოუკიდებელ ტელევიზიაზეა საუბარი?! სწორედ თავისი გამოხდომით დაანახა მთელ საქართველოს რუსთავი 2-ის დამოუკიდებლობა მიშა სააკაშვილმა! ამაშია საქმე, თორემ ვინ არის სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგი.

– ანუ ველოდებით 8 მარტს?

– შესაძლოა, იმ დღესვე არ მიიღონ გადაწყვეტილება. ეს ძნელი სათქმელია. შესაძლოა, ვერ დაინახონ საფრთხეები და გააუქმონ მათივე გადაწყვეტილება ან გააგრძელონ და თქვან, საქმის საბოლოოდ სტრასბურში დამთავრებამდეო. ეს თუ ასე მოხდა, საბოლოო დამთავრებას, შესაძლოა, მრავალი წელი დასჭირდეს.

– და ამ დრომდე არხი რჩებათ ძველ მფლობელებს?

– თუმცა, აქვე განვმარტავ, საქართველოს მხარე არ არის ვალდებული, სტრასბურის ეს დროებითი აღსრულება გაითვალისწინოს. ეს არის სარეკომენდაციო, თუმცა, არის მეორე ფაქტორიც – ამ რეკომენდაციის არგათვალისწინება საქართველოს დემოკრატიულობას ჩრდილს მიაყენებს.

– ქართული მხარე არჩევანის წინაშე დგება?

– ნუ დაიყენებს თავს არჩევანის წინაშე, საპასუხოდ დაამზადოს სრულყოფილი, იურიდიულად გამართული დოკუმენტი და გააგზავნოს სტრასბურში. ამ შემთხვევაში ქიბარ ხალვაში კი აღარ არის მხარე, მხარეა საქართველოს ხელისუფლება!

მარგველაშვილი: „რუსთავი 2-ის გაჩერებით ქართულ დემოკრატიას სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ“

– ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გაჩერებით ძალიან სერიოზულ დარტყმას მივაყენებთ ქართულ დემოკრატიასა და საერთაშორისო იმიჯს.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა გუშინ გადაცემა „იმედის დროში“ განაცხადა.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მნიშვნელოვანია, რომ რუსთავი 2-ს ღიად აქვს დეკლარირებული, რომ არის პროდასავლური ორიენტაციის სატელევიზიო არხი, რასაც საერთაშორისო კონტექსტი გააჩნია და, აქედან გამომდინარე, საქმის მიმართ სენსიტიურობაც იზრდება.

აქვე პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ სამართლებრივი დავის განხილვაში არ შედის.

– ის, რაც 2007 წელს მოხდა, იყო კატასტროფა. მახსოვს, მაშინ ეთერში პირდაპირი ჩართვის დროს ვთქვი, რომ ეს სააკაშვილისთვის იყო ტრაგიკული შეცდომა, რომელზეც ის გადაიხდის. მერე ასეც მოხდა.

2012 წელს, როცა ჩვენ ხელისუფლებაში მოვედით. ჩვენი მთავარი პოლიტიკური გზავნილი იყო, რომ ჩვენ სახელმწიფოს ტერორს ვამთავრებთ, ჩვენ მედიაზე კონტროლს ვამთავრებთ, ვამთავრებთ მოსმენებსა და ადამიანების შანტაჟს. ეს იყო, რაც გვაერთიანებდა განცხადებების დონეზე და ემოციურადაც, – აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის მოღვაწეობის მთავარი პრობლემა ის იყო, რომ მათთვის ადამიანი იყო ის ერთეული, რომელიც, თუ არ გეთანხმებოდა, უნდა გაგეჩუმებინა.

– ძირითადად, ეს გაჩუმება აგრესიული მეთოდებით ხორციელდებოდა – ეს ეხებოდა მედიას, ოპოზიციურ აზრს და ასე შემდეგ. 2012 წლის შემდეგ ჩვენ მნიშვნელოვნად შევცვალეთ ჩვენი მიდგომა, მაგრამ მინდა, ყველას ვუთხრა, რომ თავისუფლება და დემოკრატია არასდროს არის საბოლოოდ მოპოვებული – მეც, თქვენც, ნებისმიერ მოქალაქეს ყოველთვის სჭირდება, იყოს ფიზიზლად იმისთვის, რომ დაიცვას თავისუფლების ღირებულება. ძალაუფლება, რომელიც არ კონტროლდება, ყოველთვის მიისწრაფვის ზედმეტი კონტროლისკენ, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, მაღალი თანამდებობის პირები ღიად აფიქსირებენ კრიტიკის მიუღებლობასა და სურვილს, არ მოისმინონ განსხვავებული აზრი და კრიტიკა.

– კრიტიკა არ ნიშნავს იმას, რომ ის ყოველთვის სამართლიანია, მაგრამ კრიტიკა გაძლევს შესაძლებლობას, არგუმენტებში საკუთარი სიმართლე აჩვენო. ჩვენ, პოლიტიკოსები, უნდა ვისმენდეთ კრიტიკას და არ უნდა ვიყოთ მზად, კრიტიკა გავაჩუმოთ. ამით ძალიან ცუდ სამსახურს ვუკეთებთ საკუთარ თავს, – აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ოქრუაშვილს ხალვაშის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვს

შორენა მარსაგიშვილი

რუსთავი 2-ისთვის გაჩაღებულ დავაში თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც ჩაერთო. მის გამოჩენას ერი უზენაესი სასამართლოს განაჩენის გამოცხადებისთანავე ელოდა. რამდენიმედღიანი ლოდინის შემდეგ ისიც გამოჩნდა.

ტელეკომპანიის მიმართ თავისი პრეტენზიები ოქრუაშვილმა პირველად რამდენიმე თვის წინ წამოაყენა.

მედიაში გამოქვეყნდა ქიბარ ხალვაშსა და ირაკლი ოქრუაშვილს შორის 2010 წელს გერმანიაში გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ბიზნესმენი, რომელიც რუსთავი 2-ზე პრეტენზიას აცხადებს, თავად აღიარებს, რომ სამაუწყებლო კომპანიის ყველა უფლება ირაკლი ოქრუაშვილს ეკუთვნის.

დოკუმენტში მხარეები ადასტურებენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ქიბარ ხალვაშის სახელითა და მეშვეობით შეძენილ იქნა საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი ტელეკომპანია რუსთავი 2-ის 100%-იანი წილი.

ხელშეკრულების მიხედვით, ტელეკომპანია რუსთავი 2-ის შესაძენად დადებულ ყველა გარიგებაში ქიბარ ხალვაში წარმოადგენდა ირაკლი ოქრუაშვილის ნომინირებულ პირს და მოქმედებდა მისი სახელით.

– შესაბამისად, ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე, მის წილებზე, აქტივებზე, ინტელექტუალურ საკუთრებაზე, მის წილთა შემძენ კომპანიებზე, რუსთავი 2-ის მესაკუთრეობასთან დაკავშირებულ ყველა პრეტენზიაზე უფლებები ეკუთვნის ირაკლი ოქრუაშვილს, – წერია დოკუმენტში.

ხელშეკრულების ავთენტურობას, ხალვაშისაგან განსხვავებით, ადასტურებს ირაკლი ოქრუაშვილი.

ის ამ თემაზე დავის დაწყებას რამდენიმე თვის წინ აპირებდა, მაგრამ სარჩელიდან ყურადღება საპარლამენტო არჩევნებმა გადაატანინა. ის გორში მაჟორიტარად იყრიდა კენჭს. არჩევნებში დამარცხება მან მტკივნეულად განიცადა და რამდენიმე თვე გაუჩინარებული იყო.

უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილების შემდეგ ოქრუაშვილის გამოჩენა გარდაუვალი ჩანდა. ამას ხელისუფლებაც მიხვდა და თადარიგი დაიჭირეს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მასთან ეკა ბესელიას მეშვეობით დაიწყეს მოლაპარაკებების წარმოება.

ეტყობა, მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და ოქრუაშვილმა ქიბარ ხალვაშის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

ოქრუაშვილის ადვოკატი გიორგი ზედელაშვილი გურია ნიუსთან საუბარში ამბობს, რომ ყოფილმა მინისტრმა სასამართლოში სარჩელი 4 თვის წინ შეიტანა.

ადვოკატის ინფორმაციით, ოქრუაშვილმა ქიბარ ხალვაშის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადება მოითხოვა. ოქრუაშვილი, აბაშელის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ფართის გარდა, ყადაღის დადებას შპს „პანორამაზეც“ ითხოვდა, თუმცა, როგორც ადვოკატი ამბობს, 14 ნოემბერს საჯარო რეესტრმა სარეგისტრაციო წარმოება შეაჩერა.

საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებაში წერია:

– წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს

კანონმდებლობის მოთხოვნებს, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სარეგისტრაციო დოკუმენტი – სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს აქტი, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.

ამავე გადაწყვეტილებით, ირაკლი ოქრუაშვილს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენისთვის 3 დღე მისცეს. გიორგი ზედელაშვილის განცხადებით, ამ პერიოდში დოკუმენტების წარმოდგენა ვერ მოხერხდა და სარეგისტრაციო წარმოებაც შეწყდა.

ადვოკატის ინფორმაციით, რეესტრმა ოქრუაშვილს „პანორამასთან“ დაკავშირებით წარდგენილი განცხადება არ დაუკმაყოფილა. მიზეზი ანალოგიურია – სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობა.

– ჩვენ მივმართეთ სასამართლოს, ველოდებოდით ყადაღის დადებას და, შესაბამისად, საჯარო რეესტრს ვთხოვეთ, შეეჩერებინა რაიმე ქმედების განხორციელება „პანორამის“ წილთან დაკავშირებით. ვინაიდან და რადგანაც სასამართლომ არ მოახდინა უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, ანუ ყადაღის დადება ამ წილზე, ვერ წარვუდგინეთ საჯარო რეესტრს ყადაღის დოკუმენტი და წარმოებაც შეწყდა, – განაცხადა ზედელაშვილმა გურია ნიუსთან საუბრისას.

მისივე ინფორმაციით, რეესტრში შეტანილი განცხადების საფუძველი ირაკლი ოქრუაშვილის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელია, რომლითაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვალის დაბრუნებას ითხოვს.

– ქიბარ ხალვაშს გააჩნია ირაკლი ოქრუაშვილის სასესხო დავალიანება და ამაზე გაფორმებულია შეთანხმება, რაც ერთვის სარჩელს და რაც ადასტურებს ვალის არსებობს. ხალვაშმა ეს თანხა არ გადაიხადა და ამიტომ გახდა ირაკლი ოქრუაშვილი იძულებული, სასამართლოში შეეტანა სარჩელი თანხის დაკისრების მოთხოვნით, ასევე, მოვითხოვეთ სარჩელის უზრუნველყოფა, რომ შემდეგ თანხის ამოღების შესაძლებლობა ყოფილიყო, – აღნიშნავს ადვოკატი.

გიორგი ზედელაშვილის განმარტებით, მისმა კლიენტმა მოითხოვა ყადაღის დადება და გასხვისების აკრძალვა როგორც უძრავ ქონებაზე, ასევე, ქიბარ ხალვაშის 100%-იან წილზე „პანორამაში“.

ზედელაშვილის ინფორმაციით, სასამართლო სხდომა ამ დრომდე არ ჩანიშნულა. მისივე განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილი დავის გაგრძელებას აპირებს.

ვახტანგ ძაბირაძე: „ოპოზიციას ქუჩის აგორება გაუჭირდება“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, რუსთავი 2-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აქციები იგეგმება. როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს?

– ოპოზიცია, ნაციონალური მოძრაობა შეეცდება, ეს ყველაფერი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. ოპოზიცია რომ ამ ფაქტს გააპროტესტებდა, ეს ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა და, იმედი მაქვს, არც ხელისუფლებისთვის არის მოულოდნელი.

– ხალხი გამოვა ქუჩაში?

– ეს არის მნიშვნელოვანი, რამდენად შეძლებს ოპოზიცია დღეს ქუჩის აგორებას. ამ ეტაპზე მასშტაბური აქციების აგორება ვერ მოხერხდება.

– რატომ?

– ამას ორი პირობა აქვს. ერთი, რომ მოსახლეობის უმრავლესობა რუსთავი 2-ს აღიქვამს, როგორც ნაციონალების რუპორს, ამიტომ ერთგვაროვანი არ არის მოსახლეობაში განწყობა, თუმცა, ის არის ყურებადი ტელევიზია, მას ხალხი უყურებს და მათი უმრავლესობა სულაც



არ არის ნაციონალების მხარდამჭერი.

მეორე – ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება შეცვლილია, მაგრამ არც იმდენად, რომ ხელისუფლების ნებისმიერი შეცდომა ოპოზიციამ საპროტესტო მუხტში გადაზარდოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ თავად ოპოზიცია არის ჩამოუყალიბებელი. მართალია, რაღაც გაერთიანებები, საბჭოები იქმნება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს. ამ 25 წლის განმავლობაში ასეთი არაერთი კომიტეტი შექმნილა და დაშლილა.

როდესაც მოსახლეობის განწყობები და ოპოზიციის სურვილი ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ აქციები ხელისუფლებისთვის დიდი საფრთხის შემცველი ვერ არის. რაც უფრო მეტად იაქტიურებენ ნაციონალური მოძრაობის სახეები, რომელთა მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არცთუ მთლად დადებითია, მით უფრო ნაკლები ექნებათ შანსი, რომ ქუჩა ააგორონ. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანებს პროტესტი არ აქვთ, მეტიც, პროტესტი ილექება და, როდის ამოხეთქავს, არავინ იცის.

– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიცია არ არის პოპულარული და ამიტომ არ გაჰყვება მას ხალხი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას ხელისუფლების მიმართ პროტესტი არ აქვს.

– დიახ. ადამიანებს თუ აქვთ შინაგანი პროტესტი, ის დავიწყებას არ მიეცემა და ამიტომ ხელისუფლებას მშვიდად ყოფნის უფლება არ აქვს. ბევრი რამე ხელისუფლების ქმედებაზეა დამოკიდებული. ცუდი რაღაცები ნელ-ნელა ილექება საზოგადოებაში და მოთმინების ფიალაც ნელ-ნელა ივსება.

ეს არის ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც რაღაც დროის შემდეგ ამოქმედდება, მაგრამ არა – ნაციონალების დროშის ქვეშ.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლების ქმედებაზე ბევრი რამე იქნება დამოკიდებული. რამდენად ჩააბარებს ხელისუფლება ამ ტესტს?

– გააჩნია, რა ნაბიჯებს გადადგამს ხელისუფლება. ჯერჯერობით განცხადებებით შემოიფარგლებიან. გასაგებია, რომ ზოგისთვის მისაღებია ეს განცხადებები, ზოგისთვის – არა. ესეც ბუნებრივია, თუმცა აქ მაინც გადამწყვეტია, რა ქმედებებს განახორციელებს ხელისუფლება.

– რას გულისხმობთ?

– თუ საპროტესტო აქციები გაიმართება, კარვები დაიდგმება, როგორც აანონსებენ და ხელისუფლება შეეცდება ძალისმიერი მეთოდებით ან პროვოკაციების მოწყობით, როგორც ამას თავის დროზე აკეთებდა წინა ხელისუფლება, პროცესებში ჩაერიოს, მაშინ ეს დამღუპველი შეცდომა იქნება თავად ხელისუფლებისთვის, ტრაგიკული შეცდომა. თუმცა, არა მგონია, ასე ტრაგიკულად განვითარდეს მოვლენები, მე მაინც მგონია, რომ რაციონალიზმი გაიმარჯვებს.

ირაკლი სესიაშვილი: „პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მოგვაყენა“

– პრეზიდენტმა, სამწუხაროდ, შეურაცხყოფა მიაყენა მთლიანად საკონსტიტუციო კომისიას.

ამის შესახებ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომელიც პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა.

ირაკლი სესიაშვილის თქმით, პრეზიდენტმა შეურაცხყოფა მიაყენა არა „ქართულ

ოცნებასა“ და ხელისუფლებას, არამედ მთლიანად საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს.

– ჩვენ ვაგრძელებთ მსჯელობას. მოგეხსენებათ, რომ 2010 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შესაბამისად, პრეზიდენტს ისედაც უკვე შეკვეცილი უფლებები გააჩნია და გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური სპეკულაციის პრევენციის მიზნით მეტ-ნაკლებად ვთანხმდებით, რომ შემდეგი არჩევნები იყოს პირდაპირი წესით არჩევანის თანახმად. ეს იმიტომ მოხდა, რომ მარგველაშვილს არ დაეწყო პოლიტიკური სპეკულაცია. მისი განცხადება არათუ არაადეკვატურია, არამედ კომისიის ყველა წევრის დისკრედიტაციას ემსახურება, – განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

დეპუტატის თქმით, მიუხედავად მსგავსი პოლიტიკური სპეკულაციებისა, კომისია კონცენტრირებული დარჩება იმაზე, რომ კონსტიტუცია იყოს მაქსიმალურად ჯანსაღი და დემოკრატიული ჩარჩოების ფარგლებში.

ინტერპრესნიუსი

პოლონეთის მთავრობამ იაცეკ სარიუშ-ვოლსკი ევროსაბჭოს პრეზიდენტის პოსტზე წარადგინა

პოლონეთის მთავრობამ ევროპარლამენტის დეპუტატი იაცეკ სარიუშ-ვოლსკი ევროპული საბჭოს პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტუსკის შემცვლელად ოფიციალურად წარადგინა.

ამის შესახებ ინფორმაცია პოლონეთის საგარეო უწყებამ გაავრცელა. შესაბამისი განცხადება უკვე გაიგზავნა ევროკავშირის ამჟამინდელ თავმჯდომარე ქვეყანა მალტაში.

უცხოური მედიის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის კანდიდატურად სარიუშ-ვოლსკი წარადგინეს, ის საკუთარი პარტიიდან „სამოქალაქო პლატფორმიდან“ გარიცხეს. გავრცელებული ინფორმაციით, ამის მიზეზი გახდა ის, რომ პარტიას ევროპული საბჭოს პრეზიდენტად ტუსკის მეორე ვადით არჩევა სურდა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

რა შედეგი ექნება ამერიკული დახმარების შემცირებას?

მარიამ მჭედლიშვილი

ექსპერტები სხვადასხვანაირად აფასებენ აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას სხვა ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების შემცირების შესახებ. გამოთავისუფლებული თანხები აშშ-ის თავდაცვის ხარჯების ზრდას უნდა მოხმარდეს. კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამით ამერიკის საგარეო პოლიტიკა შესუსტდება.

ნატოს გენმდივანი: „საქართველოსა და უკრაინას ნატოს წევრობაზე უარს ვერ ვეტყვით“

როგორც ცნობილია, ამერიკა ზრდის თავის ბირთვული პოტენციალსაც. ეს აიხსნება იმით, რომ რუსეთი არ ასრულებს შეთანხმებებს ბირთვული შეიარაღების შემცირების თაობაზე. ამის საპასუხო გადაწყვეტილებებს იღებს ვაშინგტონიც.

რუსეთის მილიტარისტულ ნაბიჯებზე საუბრობს ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგიც შვეიცარიულ გაზეთთან ინტერვიუში:

– რუსეთმა გაასამმაგა თავისი თავდაცვის ბიუჯეტი. რაც მთავარია, ის იყენებს ძალას თავისი მეზობლების წინააღმდეგ. რუსეთი ავითარებს თავის საბრძოლო პოტენციალს. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ამას უპასუხა ნატოს სივრცის აღმოსავლეთ ნაწილში თავისი ყოფნის გაზრდით, მაგრამ ჩვენ ამას ვაკეთებთ თავდაცვის მიზნით, შეიარაღებაზე კონტროლის თაობაზე შეთანხმებების სრული დაცვით.

ბოლო დროს დასავლურ მედიაში რამდენჯერმე დაიწერა საქართველოსა და უკრაინის ნეიტრალიტეტის პერსპექტივაზე. ამ საკითხს შვეიცარიელი ჟურნალისტიც შეეხო. მან დასვა შეკითხვა, ეტყვიან თუ არა უარს საქართველოსა და უკრაინას ნატოს წევრობაზე.

– ეს ძალიან საშიშია. თუ ნატო ალაპარაკდება, რომ მზადაა, კარი დაუკეტოს ისეთ ქვეყნებს, როგორებიც არის უკრაინა და საქართველო, იმისათვის, რომ მოიხსნას დაძაბულობა რუსეთთან, ეს გავლენათა სფეროების აღდგენის მაჩვენებელი იქნება, რაც მიუღებელია, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

ნატოს გენმდივანი აღნიშნავს, რომ გავლენების გადანაწილება დაუშვებელია და ყველა ქვეყანას უფლება აქვს, თავად აირჩიოს საკუთარი გზა, მათ შორის, უსაფრთხოების სფეროში.

ლიტველი მკვლევრების დასკვნით, რუსეთი მსოფლიო წესრიგის შესაცვლელად მიმდინარე წელს აქტიურად გამოიყენებს ჰიბრიდული ომის მეთოდებს.

პროფესორ ტომას იანელიუნასის სიტყვებით, რუსეთი გამოცდის დასავლეთის მოთმინებას სხვადასხვა მეთოდით. ესაა ძირითადად რბილი ძალა, პროპაგანდითა და ეკონომიკური ზომებით დაწყებული, სამხედრო პროვოკაციებით დამთავრებული. ფართომასშტაბიანი ომი მოსალოდნელი არ არის.

მისი თქმით, ბალტიისპირეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოები რუსეთისაგან უნდა მოელოდნენ ჰაკერულ შეტევებს, საინფორმაციო დივერსიებსა და საზღვრების დარღვევასაც კი.

ლიტველი მკვლევრების აზრით, რუსეთის რბილი ძალის მოსაგერიებლად საზოგადოება მზად უნდა იყოს ყველა სფეროში. ამ ძალას რუსეთი გამოიყენებს ყველგან, მათ შორის, განათლებაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

ესტონელი ექსპერტების შეფასებით, ნებისმიერი რუსული მოქმედება და გავლენა დივერსიისკენ არის მიმართული. ამისათვის საჭიროა საზოგადოების ამტანობა. ხალხს უნდა განუვითარდეს კრიტიკული აზროვნება.

რუსეთის მიერ რბილი ძალის საქართველოში გამოყენებაზეც დიდი ხანია, საუბრობენ. ამის პარალელურად, რუსეთი არ ერიდება აგრესიულ ნაბიჯებსაც. მსოფლიოში შექმნილი სიტუაციის ფონზე, მოსალოდნელია რუსეთის აქტივიზაცია სამხრეთ კავკასიაშიც.

ზაალ კასრელიშვილი: „ავარეთ-კახეთის გზა არ უნდა გაიხსნას“

„სომხური დერეფანი რუსული პროექტია“

შორენა მარსაგიშვილი

ვის ინტერესებს ახმოვანებს ოფიციალური ერევანი, რა პრობლემებს შექმნის ავარეთ-კახეთის გზის გახსნა აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

– სომხეთის ხელისუფლება გამალებით ეძებს ლარსის ალერნატივას. თავიდან იყო საუბარი, რომ მოლაპარაკებები აფხაზეთის რკინიგზასა და როკის მიმართულებაზე იყო. სომხური გამოცემის მტკიცებით კი ლარსის ალტერნატივა ავარეთ-კახეთის მშენებარე გზა უნდა გახდეს. ამ გზაზე თქვენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განაცხადეთ, რომ მისი ამოქმედება სახიფათო იქნება როგორც საქართველოსთვის, ასევე აზერბაიჯანისთვის.

– სომხეთი გასული წელს ალაპარაკდა აქტიურად ლარსის ალტერნატივაზე. ყველამ ჩათვალა, რომ ისინი აფხაზეთის რკინიგზის მონაკვეთის გახსნას ითხოვდნენ. ჩვენ მაშინვე გავაკეთეთ განცხადება, რომ ლარსის ალტერნატივა, აფხაზეთის რკინიგზის გარდა, როკის გვირაბი და ავარეთი-კახეთის გზა იქნებოდა.

ჩვენ არ გვგონია, რომ ეს საკითხი ასე მარტივად გადაწყდება და ვერც იმას დავიჯერებთ, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. საქართველოსა და სომხეთის მთავრობის მეთაურები ერთმანეთს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ. შესაბამისად, არავინ იცის, რა გადაწყვეტილება მიიღო ორმა პრემიერმა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენ ვერანაირი დოკუმენტი ვერ მოვიძიეთ.

– შეხვედრის დეტალებს მართლაც არ ახმაურებენ. რა მოხდება, თუ მართლაც დათანხმდა ქართული მხარე ლარსის ალტერნატივას?

– ასე იოლად ვერავინ ვერავის დათანხმდება. ასეთი შეთანხმება თუ მართლაც გაფორმდა, მას განზრახულობათა ოქმი უნდა მოჰყვეს. ამ თემაზე ამის მერე უნდა დაიწყოს ლაპარაკი. ჰაერზე ლაპარაკის არც ნერვები გვაქვს და არც დრო.

– როდესაც ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობა დაიწყო, თქვენ განაცხადეთ, რომ ეს საქართველოსთვის ხიფათის მომტანი იქნებოდა. ახლაც ამავე აზრზე ხართ?

– რა თქმა უნდა. გზების მშენებლობა, როგორც ასეთი, ცუდი არ არის. გზები შემოსავლის დამატებითი წყარო გახლავთ და მათი ამოქმედებით საქართველოს ბიუჯეტი ისარგებლებს, მაგრამ, ეკონომიკური სარგებლობის გარდა, ამ გზებს, შესაძლოა, სხვა რამეც მოჰყვეს.

– რა უნდა მოჰყვეს?

– ავარეთ-კახეთის გზის ამოქმედების შემთხვევაში რუსეთს საქართველოსთან დამაკავშირებელი კიდევ ერთი სახმელეთო გზა ექნება, რუსეთი კი ის ქვეყანაა, რომელიც აგრესიას ღიად აფრქვევს და თავის ზრახვებს აღარ მალავს. ოფიციალური მოსკოვი დაუფარავად ცდილობს, საქართველო თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენების ქვეშ მოაქციოს.

ამ თემაზე საუბარი თუ დაიწყება, ის აუცილებლად საჯარო განხილვის საგანი უნდა გახდეს. მთავრობამ დეტალურად უნდა გვითხრას, რა მატერიალურ და მორალურ სარგებლობას ნახავს ამ გზის ამოქმედებით ქვეყანა. ასევე საუბარი უნდა იყოს მოსალოდნელ საფრთხეებზეც. საფრთხეები კი მართლაც არსებობს.

– რა საფრთხეებზეა საუბარი?

– ამ გზის ამოქმედების შემდეგ ჩვენ, შესაძლოა, სტრატეგიულ პარტნიორებთან – აზერბაიჯანთან და თურქეთთან – გაგვიფუჭდეს საქმე. ამის გარდა, შესაძლოა, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა ვეღარ განახორციელოს გეგმა და ვეღარ დაგვეხმაროს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში, ნატოს კი, დიდი ალბათობით, ხელი შეეშლება შავი ზღვის უსაფრთხოების პროექტის განხორციელებაში.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ჯერ სომხური დერეფნის პროექტიც კი არ არსებობს. შესაბამისად, ამ გზის ამოქმედება დროში გაიწელება. თუ რომელიმე ქვეყანა საქართველოს ხელისუფლების პროვოცირებას შეეცდება ამ საქმეში, საკადრის პასუხს მიიღებს.

– ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ სომხეთი სულ დარიალის ხეობით სარგებლობდნენ. რატომ გახდა მათთვის ახლა ეს გზა მიუღებელი?

– სომხეთის პრეტენზიები, მოსაზრებები და ფსევდოპოლიტიკური თამაშები ჩვენ სასაციროდაც არ გვყოფნის. დღეს ოფიციალური ერევნის პირით რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა საუბრობს.

– გამოდის, რომ სომხური დერეფანი რუსეთს უფრო აინტერესებს, ვიდრე ერევანს?

– რა თქმა უნდა. ეს არის რუსული ინტერესი. მისთვის საჭირო რეგიონთან დამაკავშირებელი რაც უფრო მეტი გზა ექნება კრემლს, მით მეტი შანსი აქვს, საჭირო დროს სამხედრო მანევრები განახორციელოს.

– რამე რომ იყოს, დარიალის ხეობიდან ვერ განახორციელებენ სამხედრო მანევრს?

– ხმელეთიდან ვერა. დარიალის ხეობის ჩაკეტვა ძალიან იოლია. ამ წინააღმდეგობის დაძლევის შემთხვევაში, ჯვრის უღელტეხილი იქნება სერიოზული პრობლემა. ამ უღელტეხილზე ძალიან რთული იქნება სამხედრო ტექნიკის გადაადგილება.

აქედან გამომდინარე, ცდილობენ, გადაადგილებისთვის უფრო იოლი გზა გამონახონ. ასეთია ავარეთ-კახეთის გზა, რომლის ამოქმედება, საქართველოსთან ერთად, აზერბაიჯანსაც შეუქმნის პრობლემებს.

ეს გზა გაივლის საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე. ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებას თუ გავითვალისწინებთ, კრემლი მარჯვნივ საქართველოს გააკონტროლებს, მარცხნივ – აზერბაიჯანს.

რუსეთის განზრახვა იოლად ამოსახსნელია, მაგრამ მათ ტყუილად ჰქონიათ, რამე რომ იყოს, ამ გზაზე პრობლემები არ შეექმნებათ.

– რა პრობლემები?

– მათთვის ეს გზა საკმაოდ რთული და საფრთხის შემცველი იქნება. მოსკოვისთვის ყველაზე მისაღები როკის გვირაბის გავლით აშენებული სომხური დერეფანი იქნება. ამ გზით სომხეთს რუსები სამცხე-ჯავახეთის გავლით დაუკავშირდებიან. ეს ყველაზე მოკლე მანძილია და დაუსახლებელ ადგილებს გაივლის.

კოკოითის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალმა ედუარდ კოკოითი უარყო. რესპუბლიკის ყოფილ მეთაურს, რომელიც თავს დამოუკიდებლობის მოპოვებით იწონებდა, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცეს.

ჩვენი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ კოკოითიმ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. საამისოდ მან ადგილობრივ ცესკოში სათანადო დოკუმენტაციაც შეიტანა და ოსურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდაც ჩააბარა.

ეს ყველაფერი საკმარისი არ აღმოჩნდა არჩევნებში მონაწილეობისთვის. არსებული კანონით დაწესებულია ბინადრობის ცენზი. თუ პირი ბოლო რამდენიმე წელი ცხინვალის რეგიონში არ ცხოვრობს, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ედუარდ კოკოითი კი ბოლო წლებში რუსეთში ცხოვრობდა.

ცესკომ კოკოითის განაჩენი 4 მარტს გამოუტანა. ცესკოს 15 წევრიდან მის წინააღმდეგ 14-მა მისცა ხმა.

როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში განმარტეს, მათ მიერ დაწუნებულ რესპუბლიკაში ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ცხოვრობდა. ამის გარდა, მის დასაწუნებლად სხვა მიზეზებიც გამონახეს. მათი განმარტებით, პრეზიდენტობის კანდიდატმა ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას იცუღლუტა.

ცესკოს განმარტებით, კოკოითიმ ქონებრივ დეკლარაციაში არ მიუთითა თავისი მეუღლის ავტომობილის შესახებ. სავარაუდოდ, საუბარია ძვირადღირებულ მანქანაზე, აბა, მისის კოკოითი ჩვეულებრივი მანქანით სიარულს არ კადრულობს.

ამის გარდა, პრეზიდენტობის მსურველმა არ მიუთითა, იყო თუ არა ნასამართლევი და იყო თუ არა რომელიმე პარტიის წევრი.

რესპუბლიკაში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 9 აპრილს გაიმართება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნები 76 საარჩევნო უბანზე ჩატარდება. 1-1 უბანი გაიხსნება მოსკოვსა და სოხუმში, ვლადიკავკაზში – 2, დანარჩენი 74 კი ცხინვალის რეგიონში იფუნქციონირებს.

ადგილობრივი მედიის ცნობით, მთავარი ბრძოლა მოქმედ პრეზიდენტსა და მოქმედ პარლამენტის თავმჯდომარეს შორის გაიმართება.

◆ ◆ ◆

9 აპრილს ცხინვალში რეფერენდუმიც ტარდება. ამ რეფერენდუმის მიზანია ცხინვალის რეგიონისთვის სახელის შეცვლა. ამ ინიციატივით რესპუბლიკის პრეზიდენტი გამოვიდა.

სამაჩაბლოსთვის ალანიის დარქმევის ინიციატივა და ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარება საეჭვოდ დაემთხვა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭებას. ქართველი ექსპერტების განმარტებით, ეს რუსეთის იდეაა და მოსკოვმა საქართველოს ასე გადაუხადა სამაგიერო.

საქართველოს წინააღმდეგ მოფიქრებული გეგმა, შესაძლოა, რუსეთს თავად შეუტრიალდეს. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ალანიის სამეფოს მემკვიდრეობაზე პრეტენზია ინგუშებსაც აქვთ.

ამ დღეებში ოსურ და ინგუშურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ინგუშები აპირებენ, თავიანთ რესპუბლიკას ალანია დაარქვან. როგორც ამბობენ, სწორედ ამის გამო გადაიტანეს რესპუბლიკის დედაქალაქი ნაზრანიდან. ახალ დედაქალაქს მაგასი ჰქვია. აღსანიშნავია, რომ ალანიის სამეფოს მთავარ ქალაქს სწორედ მაგასი ერქვა.

ეს ამბავი ოსებს დღემდე არ აქვთ მონელებული და ამას ინგუშეთის ალანიად კურთხევის მცდელობა დაემატა.

ამასთან დაკავშირებით მთავრობის სხდომა გამართა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაურმა ვიაჩესლავ ბიტაროვმა. 4 მარტს მინისტრებთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ არ დაუშვებს, ვინმემ ალანიის ისტორია მიიტაცოს.

– ეს არის პროვოკაცია და ცხინვალში დაგეგმილი რეფერენდუმის ჩაშლის მცდელობა, – განაცხადა მთავარმა ალანიელმა.

მისივე თქმით, როგორც კი ინგუშეთისთვის სახელის შეცვლის პროცედურა ოფიციალურად დაიწყება, ის სათანადო რეაგირებას მოახდენს.

რა იგულისხმა სათანადო რეაგირებაში ბიტაროვმა, ეს ოსური მედიისთვის უცნობი დარჩა. ჯერჯერობით კავკასიაში ერთადერთი ალანიის მეთაურის განცხადებით, ამ საკითხს, შესაძლოა, კავკასიაში სისხლისღვრა მოჰყვეს.

„მესაზღვრემ წყლის ჭურჭელში ჩამიფურთხა და მითხრა, დალიეო“

რას ყვება ისრაელიდან დეპორტირებული მარიამ მენაბდიშვილი

გულიკო ბალაძე

უფლებადამცველი გიორგი თევზაძე „ახალ თაობასთან“ საპატრიარქოსთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებს, ახლახან პარლამენტის მიერ მიღებულ ფარული მოსმენების შესახებ კანონს ეხმაურება და ისრაელიდან საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოპყრობის ფაქტებზე საუბრობს.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ საპატრიარქოსთან დაკავშირებულ მოვლენებს?

– საქართველოს ჰყავს ბრძენი, ერზე მზრუნველი პატრიარქი. საკითხის აჟიტირება შედეგს არ მოგვცემს, რაც, სამწუხაროდ, საერთო ჯამში, ჭორაობას ემსგავსება და ვიღაცის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოსა და ქართულ ეკლესიას მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში უფრო რთული დღეებიც ჰქონია, მაგრამ საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება საქართველოს განუყოფლობის, რწმენისა და ერთიანობის გარანტი.

– საზოგადოება რომ შეშფოთებულია?

– საზოგადოება შეშფოთებულია იმ ინფორმაციით, რომელიც მხოლოდ გამოძიების კომპეტენციას განეკუთვნება. დაუშვებელია, ამ საკითხზე ვერსიები და განცხადებები კეთდებოდეს პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების ან თუნდაც საპატრიარქოს ცალკეული წარმომადგენლის მხრიდან.

– რატომ არის დაუშვებელი?

– რაც მაღალი საზოგადოებრივი აქტივობის საბაბით ტელეეკრანიდან ისმის, ჭორაობას დაემსგავსა, რაშიც თავისი წვლილი თავიდანვე შეიტანეს ხელისუფლების წარმომადგენლებმაც თავიანთი განცხადებებით, რითაც დაირღვა მამა გიორგის მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფციაც.

– საზოგადოება მსჯელობს, რადგან შეიმაშფოთებელი ინფორმაციები ხმაურდება. გამოსავალი რა არის?

– ერთადერთ გამოსავალს ამ შემთხვევის ობიექტური გამოძიება და კანონიერი რეაგირება წარმოადგენს. ყველა სხვა სახის მცდელობა საქმეს მხოლოდ დააზიანებს. ვიმედოვნებთ, პატრიარქის მოწოდებისამებრ, სამართალდამცავები სამუშაოებს საპატრიარქოს ჩართულობით განახორციელებენ.

– ზოგს სწორედ ეს არ მოსწონს, რომ მათ მტკიცებულებებს აცნობენ.

– იმედია, საზოგადოება მიიღებს სწორ და დასაბუთებულ ინფორმაციას განვითარებული მოვლენების შესახებ და დაცვის მხარესაც თანასწორობის პრინციპებიდან გამომდინარე მიეცემა საკუთარი მოვალეობების ჯეროვნად განხორციელების საშუალება.

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ფარული მიყურადებისა და მოსმენების შესახებ ახლახან მიღებულ კანონს, რომელმაც საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია?

– მოსმენებისა და ფარული მიყურადების კანონის მიღება საზოგადოებისთვის სენსიტიური საკითხია. საზოგადოებრივი ინტერესი დიდია ასეთი სახის კანონის მიმართ, რადგან ის თითოეულ ჩვენგანს გვეხება. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოებაზე, ასევე გაითვალისწინოს სახელმწიფოს უსაფრთხოება, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებები დაარღვიოს. ამგვარ ოქროს შუალედს უნდა განაპირობებდეს ბალანსის არსებობა. ოქროს შუალედზე საკონსტიტუციო სასამართლომაც მიანიშნა.

– უმრავლესობა აცხადებს, რომ მოსმენების შესახებ კანონი სწორედ ასეთია.

– კანონის მიღებისას უმრავლესობამ ეს არ გაითვალისწინა. როგორც მოქმედი, ისე ახალი კანონით მოქალაქეს მოუსმენენ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან დანაშაული ჩაიდინა ან კავშირი აქვს დანაშაულთან. ამ შემთხვევაში პროკურატურა სასამართლოსგან ითხოვს მიყურადების შესახებ მოსამართლის ბრძანებას, ხოლო გადაუდებელი ღონისძიებების დროს პროკურორი გამოსცემს დადგენილებას, რომელიც 24 საათში მოსამართლემ უნდა დააკანონოს.

მოქმედი კანონმდებლობით, აღნიშნული დოკუმენტაციის საფუძველზე სუს-ის მატერიალურ-ტექნიკური დეპარტამენტი ტექნიკურად უზრუნველყოფს მიყურადებას, თუმცა ამისთვის საჭიროა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ნებართვაც.

ახალი კანონით, მოსამართლის ბრძანებისა თუ პროკურორის დადგენილების საფუძველზე, მიყურადებას იწყებს სუს-ს დაქვემდებარებული სსიპ-ი, ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო. ამ შემთხვევაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა საჭირო არ არის, თუმცა, თუ ინსპექტორმა შეიტყო უკანონო მოსმენის შესახებ, მას აქვს გამორთვის უფლებამოსილება. როგორც ვხედავთ, მიღებული კანონი არ იძლევა საკმარის გარანტიებს და დიდია უკანონო მოსმენების რისკი. ამ რისკს განსაკუთრებით ზრდის სუს-ის ტექნიკური შესაძლებლობა და მის საქმიანობაზე ცუდი კონტროლი.

– ბოლო დროს საზოგადოება გამოთქვამს უკმაყოფილებას ისრაელში მებაჟეების მხრიდან ქართველების მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია ამ საკითხზე?

– როგორც უფლებადამცველსა და ადვოკატთა პროფკავშირების თავმჯდომარეს, დაზარალებულმა მოქალაქეებმა ჩამოსვლისთანავე მომმართეს მათი უფლებების დასაცავად. ისინი დეპორტირებულ იქნენ ისრაელიდან. მათ შორისაა საქართველოს მოქალაქე მარიამ მენაბდიშვილი. როგორც ქალბატონი მარიამი აღნიშნავს, ჰქონდა საზღვარგარეთის პასპორტი და არ ჰქონდა არანაირი დარღვევა, საქართველოში აქვს თავისი სამსახური, ჰყავს ოჯახი – 6 თვის ბავშვი. არანაირი საფუძველი არ ჰქონდა იმის, რომ დაეტოვებინა ჩვენი სახელმწიფო და წასულიყო სხვა სახელმწიფოში სამუშაოს საძებნელად, თუმცა, რა თქმა უნდა, არ ეთაკილება თუნდაც დამლაგებლად მუშაობა, უბრალოდ, ამის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა.

– რა გითხრათ მარიამ მენაბდიშვილმა?

– ახლავე მოგახსენებთ, რა მითხრა ქალბატონმა მარიამმა:

„გამომართვეს საბუთები, გამომართვეს პირადი ნივთები და შემიყვანეს პატარა ოთახში,

გიორგი თევზაძე: „ისრაელი არის მოძმე ქვეყანა და გვიკვირს მათი მხრიდან ასეთი აგდებული დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეების მიმართ“

სადაც ორი ქალი იჯდა. მათ დაუძახეს ერთ კაცს, ვინაიდან ვუთხარი, რომ ინგლისურს ცუდად ვფლობდი და მერჩივნა, რუსულად მესაუბრა, ასევე ვუთხარი, რომ მქონდა უფლება, მომეთხოვა თარჯიმანი, ვინაიდან ივრითი არის ჩემთვის უცხო ენა – არ მესმის და ვერც ვსაუბრობ.

მითხრეს, რომ კიდევ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს გამოყოფაც ხომ არ მსურდა. სახეზე მონათებული მქონდა პატარა კამერა და მეუბნებოდნენ, რომ თუ რამეს მოვიტყუებოდი, დამაკავებდნენ და 3 წელი მომიწევდა ისრაელში პატიმრობაში ყოფნა.

ვუთხარი, რომ თავადაც ვიყავი იურისტი და კანონიერად ვითხოვდი ადვოკატს, ვინც დაიცავდა ჩემს უფლებებს. ვუთხარი, რომ ეს იყო დაკითხვის ფორმა, რასაც ამ ქვეყანაში არ ვსაჭიროებდი, ვინაიდან არ ვარ დამნაშავე და არ გადავსულვარ უკანონოდ ისრაელში. ვიყავი სტუმრად საქმეზე და უკან უნდა დავბრუნებულიყავი – ამის საბუთი მქონდა.

მომთხოვეს საფულე და ამოიღეს 10 ცალი 100-დოლარიანი. მქონდა ასევე ქართული ვალუტა, რომელიც ჩემ თვალწინ გადაითვალეს. მკითხეს, რად მინდოდა ამდენი თანხა, რაზეც ვუპასუხე, რომ ვარ მორწმუნე და ისრაელიდან საჩუქრების წაღება მსურდა. ვუთხარი, რომ ყველა ქართველის ოცნებაა, წმინდა მიწაზე ფეხი დაადგას, მაგრამ დღეს ვნანობ ამ ყველაფერს“.

მარიამის თქმით, მას სურდა, მისი ამბავი საქართველოსა და საკუთარი ოჯახისთვის ეცნობებინა, თუმცა არც ამის საშუალება მიეცა.

„დავდექი დილემისა და რეალობის წინაშე, თუ რა მდგომარეობა იყო და როგორი მოტყუებულები ვართ. ვნახე, როგორ გვამცირებენ და სულში გვაფურთხებენ“. როგორც მარიამი ამბობს, რუსულ ენაზე დაკითხეს, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს ოთახში, სადაც მის გარდა კიდევ ბევრი ადამიანი იყო – ქალები, კაცები და ხანდაზმულები.

მისი თქმით, დამცირების გარდა, იყო მუქარაც, რომ მას ფიზიკურად გაუსწორდებოდნენ.

„ქუდის ფორმის ელასტიკური ნაჭრით აგვიხვიეს თვალები და გვითხრეს, რომ 5 წუთით უნდა შევჩერებულიყავით. აეროპორტიდან თვალახვეულები გისოსებიანი მანქანით წაგვიყვანეს და უკვე შიშმა შემიპყრო. როგორც მივხვდი, 20-25 წუთის შემდეგ შევედით ეზოში, ჩამოგვიყვანეს მანქანიდან და გვითხრეს, რომ სიგარეტი მოგვეწია, ვინაიდან მეტჯერ ვეღარ მოვწევდით. ვთქვი, რომ თამბაქოს მომხმარებელი არ ვარ, რაზეც მიპასუხა: „შენ თუ მოინდომებ, შემიძლია გცემო“. შეგვიყვანეს ოთახში, სადაც ხელმეორედ გაგვჩხრიკეს: გამხადეს ფეხზე, ჩამომართვეს პირადი ნივთები, ამიკრძალეს გარესამყაროსთან ურთიერთობა“.

მარიანი ასევე აღნიშნავს, რომ „წითელი ორლიტრიანი პლასტმასის ჭურჭლით შემოიტანეს ადუღებული წყალი, რომელშიც ქაღალდიანძაფიანად ეყარა ფერები და 3 ცალი ჭიქა, რომელიც 15-20 ქართველს უნდა გვეხმარა და დაგვეღია. გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვიყავით ღორები და მოსამსახურეები – ჩასულები დასარეცხად და ეს ყველაფერი უნდა გვეჭამა, თუ არადა, მოვკვდებოდით შიმშილით. მე მათ მივმართავდი „ძმით“ და უმორჩილესად ვთხოვე, რომ მოეცათ ადუღებული წყალი, რომელსაც ჭიქებში ჩავასხამდით და ისე დავლევდით, ვინაიდან, რაც მოგვიტანეს, ის იყო ბინძური.

ერთ-ერთი დამთანხმდა, გაიღო რკინის კარი და გამიყვანეს სატუსაღოდან. შემიყვანეს ოთახში, სადაც კამერები იყო დამონტაჟებული ამივსო (მესაზღვრემ) ახალი წყლის ჭურჭელი, ჩამიფურთხა და მითხრა, დალიეო. რა თქმა უნდა, არ დავლიე და ამივარდა ისტერიკული ტირილი. ვუთხარი, რომ ჩვენ მოძმე ერი ვართ და არ შეიძლება ასეთი დამცირება ადამიანის – ეს იყო დანაშაული“.

როგორც მარიამ მენაბდიშვილი ამბობს, ისრაელის საბაჟოს თანამშრომლებს დაპირდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ყველას გააგებინებდა, რაც მოხდა.

– სხვა ადამიანები თუ საუბრობენ ამ საკითხის შესახებ?

– მარიამ მენაბდიშვილის გარდა, ისრაელის საზღვარზე მათი უფლებების დარღვევისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ საუბრობენ ხატია ხიზანიშვილი და ელიკო ჯიოშვილიც.

მათ იურიდიული დახმარების თხოვნით საქართველოს ადვოკატთა დამოუკიდებელ პროფკავშირს მიმართეს. ეს გადავუგზავნეთ რეაგირებისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროს.

როგორც ადვოკატთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე და უფლებადამცველი, მივიჩნევ, რომ აღნიშნული განცხადებები შეიცავს საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების, ღირსებისა და კანონიერი ინტერესების სერიოზული ხელყოფის ნიშნებს, რაც საჭიროებს სათანადო და ობიექტურ შესწავლას.

◆ ◆ ◆

გიორგი თევზაძე ვარაუდობს, რომ ეს შემთხვევა ერთეული არ არის და ხშირია მსგავსი უკანონო და უპატივცემულო დამოკიდებულებები.

– ისრაელი არის მოძმე ქვეყანა და გვიკვირს მათი მხრიდან ასეთი აგდებული დამოკიდებულება საქართველოს მოქალაქეების მიმართ. ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ჩინოვნიკების ბრალი, თუმცა, არ არის გამორიცხული პროვოკაციაც, რასაც სახელმწიფომ უნდა მიაქციოს ყურადღება და ამგვარ ფაქტებს წერტილი უნდა დაესვას. დამეთანხმებით, მეგობრობა უფრო მისაღებია, როცა ორივე მხარე ერთმანეთის მხრიდან გრძნობს მეგობრულ დამოკიდებულებასა და მხარდაჭერას, – გვითხრა გიორგი თევზაძემ.

„რუსთავი 2-ს ვერ გადარგავ!“

ხმაური შეკვეთილში ბიძინა ივანიშვილის სახლთან

გუშინ, 5 მარტს, შეკვეთილში ბიძინა ივანიშვილის სახლთან ნაციონალური მოძრაობის ოზურგეთის ორგანიზაციის წევრების მიერ რუსთავი 2-ის მხარდასაჭერი აქციის გამართვის მცდელობას ხმაური მოჰყვა.

სამართალდამცველებმა აქციის ორგანიზატორებსა და მხარდამჭერებს შეკრების საშუალება არ მისცეს. პოლიცია ოპოზიციის წარმომადგენლებს ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდებდა.

პირველი რადიო

რატომ აკრიტიკებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს მთავრობას

– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის თანახმად, ხელისუფლების მისამართით ისმის კრიტიკა, რომ ხშირად ის გამოხატვისა და მედიის თავისუფლებას ადეკვატურად არ იცავს. საქართველოს კანონმდებლობით, გამოხატვისა და მედიის თავისუფლება დაცულია, თუმცა ხელისუფლების მისამართით ისმის კრიტიკა, რომ ის ხშირად ადეკვატურად არ იცავს აღნიშნულ უფლებას.

ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ 2016 წლის ანგარიშშია საუბარი.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში მედიაპლურალიზმის საკითხი ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო საზოგადოებამ ეჭვქვეშ მას შემდეგ დააყენეს, რაც ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა წამყვან ტელეკომპანიებზე, მათ შორის რუსთავი 2-ზე.

– პარლამენტის უუნაროობამ, სამი წლის განმავლობაში აერჩია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რეორგანიზაციის საბჭოს 8 წევრი, გააჩინა ეჭვი, რომ შერჩევის პროცესის პოლიტიზება ხდებოდა და ნეგატიურ გავლენას ახდენდა ტელევიზიის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, – ნათქვამია ანგარიშში.

ანგარიშის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას ხელისუფლების მისამართით კრიტიკის გამოხატვის უფლება აქვს, არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ ხელისუფლებისა და ყოფილი ჩინოვნიკების მხრიდან სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის განუწყვეტელ კრიტიკას, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერების წინააღმდეგ მიმართულ გამოძიებებს გულისხმობს, თვითცენზურამდე მივყავართ.

ანგარიშის თანახმად, საქართველოში მედია პოლიტიკურად პოლარიზებული რჩება და საზოგადოებას ნაკლებად ობიექტური ინფორმაცია მიეწოდება. წამყვანი ტელეკომპანიები გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების მიმართ სუბიექტურები არიან, ხელისუფლება ძირითადად რუსთავი 2-ს აკრიტიკებს ოპოზიციური ძალებისადმი ლოიალობის გამო.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

სოზარ სუბარი: „ახალ მშენებლობებს შენობების რეაბილიტაციების შემცირების ხარჯზე დავიწყებთ“

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ 2017-2018 წლების სტრატეგია წარმოადგინა. რა იცვლება იძულებით გადაადგილებული პირებისთვის და რატომ არის სამოქმედო გეგმაში ნაკლები რაოდენობის ბინების რეაბილიტაცია დაგეგმილი? ამ თემაზე „საქმიან დილასთან“ დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი საუბრობს.

– ბატონო სოზარ, სტრატეგია რამდენიმე ძირითადი ამოცანის შესრულებას ისახავს მიზნად. მიმდინარე წელს ნაკლები რაოდენობის ბინის რეაბილიტაცია განხორციელდება, თუმცა სტრატეგიაში წერია, რომ აქცენტი მშენებლობებზე და გრძელვადიანი განსახლების სხვა პროგრამებზე კეთდება. კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში?

– პრაქტიკულად ძირითადი მიმართულებები იგივე რჩება და გრძელდება, თუმცა ვაპირებთ, რომ რეაბილიტაციები მნიშვნელოვნად შევამციროთ, რადგან რეაბილიტაცია გულისხმობს იმ ძველი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში აშენებული ობიექტების გადაკეთებას საცხოვრებლად, რომლებსაც ამორტიზების ვადაც გასული აქვთ და რაც უნდა გააკეთო, ის მაინც ვერ მოდის იმ ახალაშენებულ შენობასთან ხარისხით, როდესაც თანხა ხშირ შემთხვევაში იგივე იხარჯება. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ აქცენტი რამდენიმე მიმართულებით ავიღოთ, რაც აქამდეც იყო.

ეს არის ახალი მშენებლობები როგორც თბილისში, ასევე რეგიონებშიც. ეს არის „სოფლის სახლის“ პროგრამა, რომელიც ძალიან კარგი პროექტია და კარგად მუშაობს და ვაპირებთ, რომ ამ თემაზე 2 წლის განმავლობაში დაახლოებით 34-35 მილიონი დაიხარჯოს, მაშინ, როდესაც გასული 3 წლის განმავლობაში 21 მილიონი დაიხარჯა.

ასევე ვფიქრობ, რომ მესამე პროგრამაც ძალიან კარგად მუშაობს, ეს იპოთეკური სესხების პროგრამაა, რომლითაც ჩვენ იმ ოჯახებს ვეხმარებით, ვინც იპოთეკით შეიძინა სახლი. ჩვენ მათ დაახლოებით 20 ათასი ლარის ფარგლებში ვუწევთ დახმარებას.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ თანხების დახარჯვა უფრო ეფექტურად გინდათ და რეაბილიტაციიდან სხვა პროგრამებზე იქნება მიმართული. დაახლოებით რა თანხა აკლდება რეაბილიტაციის პროგრამას და ეს თანხა როგორ გადანაწილდება?

– არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ თითქოს აქამდე რაღაც ცუდს ვაკეთებდით და ახლა უკეთესს ვაკეთებთ. ეს რეაბილიტაციები აქამდე საკმაოდ ეფექტური იმიტომ იყო, რომ ხშირად რეაბილიტაცია იმ შენობებს უკეთდებოდა, სადაც თვითონ დევნილები ცხოვრობდნენ, მაგრამ ამის გარდა, სახელმწიფო ცარიელ შენობებს იღებდა და რეაბილიტაციას უკეთებდა. იყო 40-50 წლის შენობები, რომლებსაც გამაგრება სჭირდება, ამის შემდეგ სახურავის გამოცვლა, მთლიანად შიდა ტიხრების მოხსნა, კანალიზაციის, წყლის, ბუნებრივი აირის შეყვანა და ა.შ. და ეს ყველაფერი დაახლოებით იგივე ფასი ჯდება, რაც ახალი მშენებლობა.

ამ მიმართულებით რამდენიმე ათეული მილიონი იხარჯებოდა და ეს თანხა სწორედ ახალ მშენებლობებზე და „სოფლის სახლზე“ გადავა. ახალი მშენებლობა კი ბევრად უფრო ეფექტური გამოდის, მითუმეტეს, რომ ჩვენ ახალ მშენებლობებში რამდენიმე განსხვავებული პროგრამა გვაქვს.

ეს არის როგორც მშენებლობები, რომლებსაც სამინისტრო აწარმოებს, ისე გამოსყიდვები იმ კერძო მენაშენეებისგან, რომლებიც აშენებენ. მეორე პროგრამის უპირატესობა ისიც არის, რომ ამ შემთხვევაში ერთად ხდება განსახლება დევნილების და არადევნილების და ინტეგრაცია უფრო წინწასული პროცესია.

– აღნიშნეთ, რომ „სოფლის სახლის“ პროგრამის დაფინანსება იზრდება, დღეს რა შედეგები გვაქვს აღნიშნული პროგრამის მიხედვით, რამდენად ეფექტურია იგი?

– როდესაც მე ამ უწყებაში მოვედი, 2014 წელს 60 სახლის შესყიდვა იყო დაგეგმილი. ეს იყო მთელი წლის ამოცანა და გეგმა. მაშინ ჩვენ მიდგომა შევცვალეთ და ახლა დაახლოებით თვეში 50-60 სახლის შესყიდვა ხდება. წელს დაახლოებით 1.000-მდე სახლი შეიძლება იქნეს შესყიდული იმის მიხედვით, თუ როგორი იქნება მოთხოვნა.

უმრავლეს შემთხვევაში, დაახლოებით 95% ეს არის სახლის, რომელსაც თავისი მეურნეობა, მიწა, პლანტაცია ახლავს, ზოგჯერ ხილის ბაღი, ხან ციტრუსი. იყო შემთხვევები, როდესაც მეთევზეობისთვის გამზადებული მეურნეობა ახლდა და ა.შ. ასევე შემთხვევები იყო, როდესაც ამ 25 ათასად შეძენილ გარემონტებულ სახლს 8 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა ახლდა, რაც სრულიად საკმარისია მცირე ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად.

ეს ადამიანები არა მხოლოდ ინტეგრაციას ახდენენ იმ ადგილთან, სადაც სახლდებიან, არამედ მათ ავტომატურად უჩნდებათ შემოსავალი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ორი ამოცანა ერთად გადავწყვიტოთ. ერთი არის სიღარიბის დაძლევის ამოცანა და მეორე – მათ საკუთრება, ბინა უჩნდებათ.

– მიმდინარე წელს სტრატეგიის ბიუჯეტი როგორ არის განწერილი?

– მთლიანი სამინისტროს ბიუჯეტი 85 მილიონია, საიდანაც 70 მილიონი მთლიანად დევნილების საცხოვრებლით უზრუნველყოფას ხმარდება. ჩვენი სამინისტრო რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მათ შორის არის ეკომიგრანტები, ჩვენ მიერ ქვეყანაში დაბრუნებული მიგრანტები, ამაში შედიან უცხოელი მიგრანტებიც, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან. გამოყოფილი თანხიდან ძირითადი თანხა, 70 მილიონი, სწორედ დევნილთა გრძელვადიან განსახლებაზე იხარჯება. დანარჩენი სოციალური პროგრამებია, რომლებიც ერთჯერადი დახმარებებია.

ჩვენ ვგეგმავთ, რომ მომავალში დევნილების დახმარება კიდევ უფრო ეფექტური გავხადოთ და სწორედ ამას ემსახურება ის რეფორმა, რაზეც ვმუშაობთ, რაც გულისხმობს იმას, რომ მთლიანობაში ის 250 მილიონი ლარი, რომელიც დევნილებისთვის არის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადასხვა უწყებებში, ძირითადად განსახლებას და ღარიბი დევნილების დახმარებას მოხმარდეს იმის ხარჯზე, რომ დახმარება შეუწყდეთ იმ დევნილებს, რომლებიც ეკონომიკურად შედარებით უზრუნველყოფილი არიან.

ბიზნესკონტრაქტი

„სითი-პარკს“ 11.400 ლარის ჯარიმაზე სასამართლოში მოუგეს

კომპანია, რომელიც თითქმის 10 წელია, თბილისში პარკირების დარეგულირებაზე ექსკლუზიურ უფლებას ფლობს, დედაქალაქის მცხოვრებლების მუდმივ უკმაყოფილებას იწვევს.

„სითი-პარკის“ წყალობით, ალბათ თითოჯერ მაინც, ყველა თბილისელი მძღოლი დაჯარიმებულა, მაგრამ ის, რაც გიგი ტუღუშს შეემთხვა, თითქმის უპრეცედენტოა – მას 60 ჯარიმა ერთდროულად ჩააბარეს, რომლის საერთო თანხა არც მეტი არც ნაკლები, 11.000 ლარს აღემატებოდა.

თითქმის 4-თვიანი ბრძოლის შემდეგ ტუღუშმა კომპანიას სასამართლო პროცესი მოუგო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გასულ კვირას გამოიტანა ტუღუშის სასარგებლო გადაწყვეტილება.

მოსარჩელის თქმით, მათ წინააღმდეგ კომპანია სასამართლოში სამი ადვოკატით იბრძოდა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებით, დაჯარიმებულ მძღოლს ჯარიმა სრულად გაუნულდა და 11 400 ლარიდან 1 თეთრის გადახდაც არ მოუწევს:

აი, რას ამბობს საქართველოში ბმვს კლუბის დამფუძნებელი გიგი ტუღუში:

– სითი-პარკმა 60-ჯერ დამაჯარიმა, თუმცა ეს ჯარიმები არ ჩამაბარეს და ყველა, სამოცივე ჯარიმა ერთად მომიტანეს. კანონდარღვევით ცდილობდნენ ამ ჯარიმების ჩაბარებას. ის, ვინც მომიტანა საჯარიმო ქვითრები, დამადასტურებელ მოწმობას არ მაჩვენებდა, რომ მართლაც სითი-პარკის წარმომადგენელი იყო.

სახლიდან, სადაც ჩაწერილი არც ვარ, ჩამოვდივარ მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად, მხვდება ადამიანი, ყველანაირი ფორმისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე და მეუბნება: „აჰა, ამანათი აიღე“. კითხვებზე არ მიპასუხა, რომელი კომპანიიდან იყო არ მითხრა, პირადობა არ მაჩვენა. უბრალოდ, გამიმართლა და ტელეფონით გადავუღე ეს დარღვევები. მერე ამ ადამიანმა ჩანიშნა, რომ თითქოს მე არ ჩავიბარე და უარი განვაცხადე ჩაბარებაზე.

– ანუ თქვენ 60-ჯერ იყავით დაჯარიმებული და სითი-პარკი ყველა ჯარიმის თანხას გედავებოდათ?

– დიახ, გარდა ამისა, თითო ჯარიმას დაერიცხა საურავი 150 ლარი, მერე ეს ყველაფერი გადაეგზავნა აღსრულების ბიუროს, რომელმაც თავის მხრივ თითო ჯარიმას 23 ლარი დაარიცხა საჯარიმოდ და პლუს ამას დამიყადაღეს აბსოლუტურად ყველაფერი.

სასამართლოში სერიოზული ბრძოლა დაგვჭირდა, „სითი-პარკი“ სამი ადვოკატით იყო წარმოდგენილი. მოწმეებმა, ბუნებრივია, ტყუილი ჩვენებები მისცეს, თუმცა, საბოლოო ჯამში, მოსამართლემ გამოიტანა ობიექტური გადაწყვეტილება, გამიუქმა საურავები და ყველა ჯარიმა.

ეს შექმნის პრეცედენტს. როგორც იურისპრუდენციაში ჩახედულმა ხალხმა მითხრა, ხშირია შემთხვევა, როცა მოსამართლეები ერთმანეთის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელობენ, ამიტომ რადგან ეს იყო პირველი და უპრეცედენტო შემთხვევა, ბუნებრივია, ამის შედეგს აუცილებლად გაითვალისწინებენ.

ბიპიენი

ბიტკოინის ფასმა ოქროს ფასს გადააჭარბა

პირველად ისტორიაში კრიპტოვალუტა ბიტკოინის კურსმა ოქროს ფასს გადააჭარბა.

ბიტკოინის ფასმა 1.265 დოლარს მიაღწია, ბლუმბერგის მონაცემებით კი 3 მარტის ვაჭრობის შედეგად 1 უნცია ოქრო 1.233 დოლარი ღირდა.

ბიტკოინის ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს 2013 წლის 29 ნოემბერს მიაღწია, როცა მისი ფასი 1.242 დოლარამდე გაიზარდა.

ანალიტიკოსთა განცხადებით, ბიტკოინის გაძვირება ჩინეთში გაზრდილ მოთხოვნას უკავშირდება.

ბიტკოინი შეიქმნა 2008 წელს და წარმოადგენს ვირტუალურ/კრიპტოგრაფიულ ვალუტას, რომლის შექმნა კომპიუტერული ქსელის საშუალებით და რთული მათემატიკური პროცესების შედეგად ხორციელდება.

ბიტკოინის ყიდვა ტრადიციული ვალუტის გაცვლით არის შესაძლებელი. მისი დამახასიათებელი მთავარი ფაქტორი არის ის, რომ რომელიმე ცენტრალური ინსტიტუტის ან ორგანიზაციის მიერ არ გაიცემა. შესაბამისად, ბაზარზე დამატებითი ბიტკოინების გამოჩენით, ვალუტას გაუფასურება არ ემუქრება.

2016 წლის მონაცემებით, მიმოქცევაში თითქმის 15,5 მილიონი ბიტკოინია.

ბიტკოინით ინტერნეტში პროდუქციისა და მომსახურების შეძენაა შესაძლებელი.

ფოთის პორტი სავსეა ამერიკიდან ჩამოყვანილი დაშლილი მანქანებით

„ზოგი ავტომობილი ისეა დაშლილი, რომ ვერ გაარკვევ, რა მარკისაა“

საქსტატის ცნობით, მიმდინარე წლის იანვარში საქართველოში 5 მილიონი დოლარით ნაკლები ღირებულების ავტომობილი შემოვიდა, ვიდრე ეს გასული წლის ანალოგიურ პერიოდში იყო.

ახალი აქციზური განაკვეთები მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტზე ძალაში უკვე შევიდა, თუმცა დაშვებული საშეღავათო პერიოდის გამო, რომელიც 1 იანვრამდე დაწყებული ავტომობილების ტრანსპორტირებას ეხებოდა, გასამმაგებული აქციზით მარჯვენასაჭიანი ავტომობილების განბაჟება ჯერ არ მომხდარა.



მიუხედავად ამისა, აქციზის განაკვეთის სამმაგი ოდენობით ზრდა ავტობიზნესზე უკვე აისახა. ავტოდილერების პროგნოზით, ეს გაგლენა კიდევ უფრო თვალსაჩინო მომდევნო თვეების განმავლობაში იქნება.

ლაშა მაჩიტიძე, „ავტოკომ ჯაპანის“ მენეჯერი:

– ცვლილებები, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტს შეეხო, ჩვენს ბიზნესზე უკვე ძალიან ცუდად აისახა. დაახლოებით 60-კაციანი კოლექტივი გვყავდა და 4 ოფისი გვქონდა. ახლა დავრჩით 1 ოფისის და 5 კაცის ამარა. ამასაც ძალიან მცირე ხნის პერსპექტივა აქვს, დაახლოებით 2 თვეში საერთოდ დაიხურება საქართველოში „ავტოკომპ ჯაპანის“ ოფისები.

იაპონურ ავტომობილებს ორი მთავარი ხიბლი ჰქონდა – დაბალბიუჯეტიანია და, ფაქტობრივად, „იდეალურ მდგომარეობაში“. სწორედ ერთ-ერთი ეს ხელსაყრელი ფაქტორი დაუკარგა მარჯვენასაჭიან ავტომობილებს ახალმა კანონპროექტმა და მოთხოვნაც შემცირდა, თუმცა ეს არ არის ამ ცვლილებების ერთადერთი შედეგი.

ახლა ფოთიდან ვბრუნდები და, მინდა გითხრათ, რომ ფოთის პორტი სავსეა ამერიკიდან ჩამოყვანილი დაშლილი მანქანებით. გეუბნებით იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე. ზოგი ავტომობილი ისეა დაშლილი, რომ ვერ გაარკვევ, რა მარკისაა. ზოგი შუაზე გაჭრილი და თუ აპირებენ ასეთი ავტომობილების აღდგენას, შემდეგ კი მათ გაყიდვას და ექსპლუატაციაში გაშვებას, არ მგონია, ამან უკეთესი შედეგი მოგვცეს ავტოპარკის განახლების თვალსაზრისით.

გამოდის, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობას კი შევამცირებთ, მაგრამ ჩვენი ქვეყანა დაშლილი და თბილისში „შეწებებული“ ავტომანქანების ქვეყანა გახდება.

◆ ◆ ◆

შალვა ოგბაიძე, საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი:

– 5 მილიონით თუ შემცირდა ავტომობილების იმპორტი, ეს დაახლოებით 2,7-3%-იანი შემცირებაა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ეს არ არის საგანგაშო მაჩვენებელი და წინაპირობა იმისა, რომ ტენდენცია გამოიკვეთოს.

საავტომობილო ბაზარს ახასიათებს სეზონურობა და იანვარი ერთგვარად „ზამთრის ძილიდან“ გამოსვლის თვედ შეიძლება ჩავთვალოთ. ბევრი ფაქტორია, რომელიც ამ „ზამთრის ძილს“ იწვევს. მათ შორის ის, რომ დეკემბრის ბოლოს ავტომობილის შეძენას ყველა ერიდება, რადგან იციან, რომ წელი ემატება. ამას დავუმატოთ ის, რომ საქართველოში შეიცვალა აქციზური განაკვეთები მეორად ავტომობილებზე და მეორადი ავტომობილების იმ სეგმენტზე, რომელიც იაპონიიდან შემოდიოდა. ამან ყველაფერმა ბაზარს თავისი დაღი დაასვა და იმპორტის ეს 5-მილიონინანი შემცირება სწორედაც ამას უკავშირდება.

ბაზარი გადაეწყობა ახალ რეგულაციებზე და იმპორტის მოცულობაც ძველ ნიშნულს დაუბრუნდება. ცუდია, რომ ავტომობილი ძვირდება, მაგრამ კარგი მხრიდან რომ შევხედოთ, 5 მილიონი დოლარით ნაკლები გავიდა საქართველოდან საზღვარგარეთ. გარდა ამისა, მეორადი ავტომობილი, რაც არ უნდა კარგი იყოს, მაინც მეორადი ავტომობილია და უახლოეს რამდენიმე წელიწადში ელიავას ბაზრობაზე ამთავრებს თავის სიცოცხლეს.

ბაზრის თვისებაა – არის მოთხოვნა, გაჩნდება მიწოდებაც. ეს არის ეკონომიკის ძირითადი მამოძრავებელი პრინციპი და ძალა. ამიტომ, იაპონიიდან, ამერიკიდან, ან სულაც სამხრეთ კორეიდან შეიძლება მოხდეს ავტომობილების შემოყვანა.

სხვათა შორის, ბევრი ცდილობს უკვე ავტომობილების შემოყვანას სამხრეთ კორეიდან. ამას უკვე უახლოეს მომავალში ბაზარი დაარეგულირებს. მტკივნეული პერიოდია, მაგრამ ეს პერიოდი ყველამ ერთად უნდა გავიაროთ.

ემა ტუხაშვილი, ბიპიენი

იაგო ხვიჩია: „რუსთავი 2-ზე სასამართლოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლებას პრობლემებს უქმნის“

ბიზნესკონტრაქტთან ახალი პოლიტიკური ცენტრის, „გირჩის“, წევრი **იაგო ხვიჩია** უზენაესი სასამართლოს მიერ რუსთავი 2-ის საქმესთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– როგორია საკუთრების დაცულობა და მისი უფლება საქართველოში, როდესაც ვხედავთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მოტივით საკუთრების უფლების დაცვა ხორციელდება. რა გავლენა შეიძლება ამან ზოგადად საინვესტიციო და ბიზნეს გარემოზე იქონიოს, როდესაც ვხედავთ, რომ სამართლიანობის აღდგენა წინასაარჩევნო, პოლიტიკური დაპირება იყო?

– მე ვფიქრობ, რომ სიტყვათა კომბინაცია „სამართლიანობის აღდგენას“ საქართველოში არანაირი შინაარსი არ აქვს და არც მახსოვს, ამ სიტყვას რამე შინაარსი გააჩნდა თუ არა ოდესმე. სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმას, რომ იგი იყო, მერე დაირღვა და ჩვენ ახლა ვაბრუნებთ მას.

მე არ მეგულება საქართველოში ადამიანი, რომელიც დადასტურებულად იტყვის, რომ რუსთავი 2 იმას ეკუთვნოდა, ვისაც სასამართლომ მიაკუთვნა. ისეთი ადამიანების პოვნაც რთულია, ვინც ამბობს, რომ ვისაც აქამდე ჰქონდა, იმას ეკუთვნოდა სამართლიანად და ამიტომ გახდა შესაძლებელი ის თავხედობა, რომელიც სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა.

იმაშიც ეჭვი მეპარება, რომ ვინმემ თქვას, ქიბარ ხალვაშს ეკუთვნოდაო. ეს არ მგონია, სწორი მოტივი იყოს თუნდაც სასამართლოს მხრიდან რუსთავი 2-ის საქმეზე.

– როდესაც დემოკრატიის დაცვაზე საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ საკუთარი უფლებების დაცვაში გარკვევა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც თავისუფალი სიტყვაა. როდესაც ჩვენ სამართლიანობის აღდგენასა და იმ პოლიტიკურ მდგენელზე ვსაუბრობთ, რაზეც ცოტა ხნის წინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საერთაშორისო საზოგადოებაც მასთან სწორედ ამ თემას განიხილავდა, ამ შემთხვევაში ეს მსჯელობა თანმიმდევრულია?

– ჩემი აზრით, პრეზიდენტის მსჯელობას თანამიმდევრობამდე ბევრი აკლია. მე მის კრიტიკას არ ვაპირებ, თუმცა ვფიქრობ, რომ გაცილებით უფრო მაღალი არგუმენტები გვაქვს მაშინ, როდესაც ჩვენ საკუთრების თემას ვიხილავთ.

სიტყვის თავისუფლების დაცულობის ნაწილში პრეტენზიები არსებობს ზოგადად არა რუსთავი 2-თან, არამედ ამ არგუმენტთან, რომ სიტყვის თავისუფლება ქვეყანაში მორჩა. არგუმენტს გეტყვით მარტივად, პირველი ის, რომ სიტყვის თავისუფლების დასაცავად ხალხი ქუჩაში გამოვიდოდა იმ შემთხვევაში, თუ რუსთავი 2-ს ბიძინა ივანიშვილი უბრალოდ იყიდდა, ამაში იმდენ ფულს გადაიხდიდა, რომ მესაკუთრეები დათანხმდებოდნენ? ამ შემთხვევაში ჩვენ გამოვიდოდით და ამას გავაპროტესტებდით? ცხადია, არა. მე არ გავაპროტესტებდი, თუ ეს, პირობითად, ნასყიდობის ხელშეკრულება იქნებოდა.

მეორე ის არის, რომ ქვეყანაში თავისუფალი სიტყვა არსებობს, მე ახლა იმ ტელევიზიაში ვარ, რომელიც თავისუფალი სიტყვის ფლაგმანია ქვეყანაში. თუნდაც ეს ორი არგუმენტი მე იმის თქმის საშუალებას მაძლევს, რომ ყველაზე ძლიერი არგუმენტი არ არის სიტყვის თავისუფლების დაცვა.

საკუთრების უფლებას რაც შეეხება, აქ უკვე ძალიან სერიოზული პრობლემა გვაქვს და სწორედ ეს ნაწილია ის, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილება, უბრალოდ, ვერ უძლებს, ვერაფერს ვერ პასუხობს.

სასამართლოს გადაწყვეტილება ამბობს, რომ რუსთავის 2-ის საქმესთან დაკავშირებული გარიგება, რომლითაც წილი დღევანდელ მესაკუთრეებს გადაეცათ, ბათილია, რადგან ამ გარიგებაში დაფიქსირებულია უჩვეულოდ დაბალი ფასი.

ამავდროულად, სასამართლო ამბობს, რომ მართალია, ძალადობა ხალვაშზე ვერ დადასტურდა, რომ ეს გარიგება იძულებით დაიდო, მაგრამ, ვინაიდან გარიგების ფასი უჩვეულოდ დაბალია, გარიგება ბათილია.

წარმოიდგინეთ, საქართველოში ყოველდღიურად რამდენი გარიგება იდება არასაბაზრო ფასად, სიმბოლურ ფასად, ან იმის გამო იდება, რომ ადამიანები უბრალოდ ერთმანეთს პატივს სცემენ, ან იმის გამო, რომ საგადასახადო შემოსავლები ზუსტად არ აჩვენონ. ცხადია, ეს არ არის ბათილობის საფუძველი. შეიძლება საგადასახადო ჯარიმის საფუძველი იყოს, მაგრამ ბათილობის საფუძველი არ არის. ზოგადად ადამიანები ქონებას უფასოდაც, ანუ ჩუქებითაც გადასცემენ. თუ ამ გარიგებებში ძალადობის მომენტი არ არის, საღი აზრის დონეზე, შეიძლება ჩვენ ასეთი გარიგება ამორალურად ჩავთვალოთ? ამ პრინციპით ყველა ჩუქება ამორალური უნდა იყოს.

– შეგვიძლია ვთქვათ, რომ უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საჯარო რეესტრის უტყუარობას?

– მგონი, ეს საჯარო რეესტრთან კავშირში არ არის, ეს კითხვის ნიშნის ქვეშ სულ სხვა რაღაცას აყენებს. ეს არის გარიგებათა სტაბილურობა, იმიტომ, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, იმ შემთხვევას ვიღებთ, როდესაც სასამართლომ ამორალურად შეიძლება ჩათვალოს გარიგება იმ შემთხვევაში, თუ მას ფასი არადამაჯერებლად მოეჩვენება იმ შემთხვევაშიც კი, თუ არანაირი ძალადობის მომენტი არ დადასტურდება.

მესაკუთრის უფლება, როდესაც ის თავის ქონებას ასხვისებს, ნიშნავს იმას, რომ მას ამ ქონების გასხვისება ნებისმიერ ფასად შეუძლია, თუკი ძალადობის მომენტს არ აქვს ადგილი. თუ ჩვენ სამართლებრივად ამ გადაწყვეტილების გამართვა გვინდოდა, აუცილებლად უნდა ხაზგასმული ყოფილიყო, რომ გარიგება იძულებით დაიდო. სასამართლო ამ მიმართულებით არ წავიდა, რადგან იძულებით დადებული გარიგებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა გასული იყო და ამიტომ საფუძველი მოიფიქრა, რომელიც სამართალს არანაირად არ ებმის, თქვა, რომ ფასი არ მოსწონს, რის გამოც გარიგებას ბათილად აცხადებს.

მე მხოლოდ რუსთავი 2-ის კუთხით არ ვღელავ ამ საქმეზე, მე აღელვებული ვარ იმის გამო, რომ ეს საქმე ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ეს საქმე თავდაყირა აყენებს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის მაისის პრაქტიკასაც.

2016 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეებს, რომლებიც ამ საქმეში მონაწილეობდნენ, ქეისი ჰქონდათ, სადაც აღნიშნეს, რომ გარიგება ბათილად ვერ გამოცხადდებოდა, თუ კომბინაცია არ ექნებოდათ ძალიან იაფი ფასის და იძულების მომენტის.

– რაც ამ შემთხვევაში ვერ დგინდება?

– რაც შეცვალეს. ეს განცხადება უფრო მაღალი ლეგიტიმაციით 9 ადამიანის შემადგენლობით შეცვალეს, მაგრამ დასაფიქრებელია, რომ ამას თვალნათლივი შედეგები მოჰყვება. მაგალითად, თუ ადამიანმა ოდესღაც ქონება გაყიდა, ახლა ფასი არ მოსწონს და ეჩვენება, რომ მაშინ იაფად გაყიდა, იმიტომ, რომ, მაგალითად, ამ ადამიანის მეზობელმა ვთქვათ, ერთ თვეში ორჯერ ძვირად გაყიდა, ამ შემთხვევაში ამ ადამიანს სრულიად არასწორი სტიმული უჩნდება, რომ მის მიერ ერთ დროს დადებული გარიგებები თავდაყირა დააყენოს.

ეს საგანგაშო სიგნალია ინვესტორებისთვის.

„მათე მოტორსის“ მფლობელი გელა ბარკალაია მძიმე ბრალდებით დააკავეს

კომპანია „მათე მოტორსის“ მფლობელი გელა ბარკალაია მძიმე ბრალდებით დააკავეს.

შსს-ს განმარტებით, „მათე მოტორსის“ მფლობელი სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით – 144-ე მუხლის (წამების მუქარა) მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 157-ე პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფის მუხლითაა დაკავებული.

დეტალებზე უწყებაში არ საუბრობენ.

ბარკალაიას სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

თავად ბარკალაია მომხდარს მისი ბიზნესით დაინტერესებას უკავშირებს, რადგან ბრალდებაში ოფიციალურად საუბარია 2014 წელს პროკურატურაში შეტანილ საჩივარზე, სადაც უცნობი ქალი „მათე მოტორსის“ დირექტორს წამებისა და შანტაჟისთვის უჩიოდა.

შესაძლოა, საქმეში სხვა დაზარალებულებიც არსებობდნენ. ბრალდებული თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და ბრალს არ აღიარებს.

გელა ბარკალაია 2009 წელს, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს დააკავეს. მაშინ ბიზნესმენს რამდენიმე მანქანა ჩამოართვეს.

ქონება ბიზნესმენს 2015 წლის 24 სექტემბერს მთავარმა პროკურატურამ დაუბრუნა. გელა ბარკალაიას – 10, დანარჩენ ორ მოქალაქეს კი 2 ავტომანქანა დაუბრუნდა.

8 მარტს ევროპულ სასამართლოში ვანო მერაბიშვილის საქმის განხილვა გაიმართება

8 მარტს ევროპული სასამართლოს დიდ პალატაში შს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის საქმის ზეპირი განხილვა გაიმართება.

ამის შესახებ ინფორმაციას „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ვანო მერაბიშვილის ინტერესების დამცველი ოთარ კახიძე ავრცელებს.

მისივე თქმით, ვანო მერაბიშვილის საქმეზე სტრასბურში მტკიცებულებათა წარდგენის შემდეგ იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სასამართლოს მისწერა, რომ ოთარ კახიძე პარლამენტის წევრი გახდა და ადვოკატი აღარ არის.

– თეა წულუკიანმა სასამართლოს მიწერა, ოთარ კახიძე პარლამენტის წევრი გახდა, ადვოკატი აღარ არის და ყველა მტკიცებულება, რომელიც წარმოგიდგინათ, დაუშვებლად სცანითო. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის აუცილებელი იმისთვის, რომ დაიცვა ადამიანის უფლება და წარმოადგინო განმცხადებელი სტრასბურის სასამართლოში. ეს იციან კვალიფიციურმა იურისტებმა, მაგრამ არ იცოდა თეა წულუკიანმა.

სასამართლოს პრეზიდენტმა არ დაკმაყოფილა იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნა, ჩემი გაგზავნილი მტკიცებულებები დაშვებულია და მე კვლავ წარმოვადგენ ვანო მერაბიშვილის ინტერესებს, – აცხადებს კახიძე.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი გაზის ნამწვით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა

რუსთავში, ბალანჩივაძის ქუჩაზე, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ბუნებრივი აირის ნამწვით მოწამვლის შედეგად გარდაიცვალა.

გარდაცვლილები არიან 1991 წელს დაბადებული ქალი და 1979 წელს დაბადებული მამაკაცი.

გარდაცვლილები ოჯახში სტუმრად მისულმა ქალმა აღმოაჩინა, რომელმაც სასწრაფო დახმარების ბრიგადას გამოუძახა, თუმცა ექიმებს ცოლ-ქმარი გარდაცვლილი დახვდა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე 1 მუხლით, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ქუთაისის აეროპორტში ნარკოტიკების შემოტანისთვის მამაკაცი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 1978 წელს დაბადებული დ.ფ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ქუთაისში, დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 16 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ამოიღო, რომელიც, ექსპერტიზის დასკვნით, 4,42221 გრამ მეტადონს შეიცავს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

თურქეთის საზღვარზე სირიის სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

სირიის სამხედრო საჰაერო ძალების კუთვნილი თვითმფრინავი თურქეთის საზღვარზე ჩამოვარდა. პილოტმა კატაპულტირება მოასწრო. ახლა თურქი ძალოვნები მას დაეძებენ.

ესაა საბჭოთა წარმოების მიგ-23, რომელიც მოსკოვმა ასადის რეჟიმს გადასცა.

სირიელ პარტიზანთა დაჯგუფება „აშ-შამსის ბრიგადამ“ მომხდართან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ თვითმფრინავი პარტიზანებმა ჩამოაგდეს.

თურქეთის პრემიერი ილდიმირი თვლის, რომ კატასტროფის ვერსია არ არის გამორიცხული.

ტრამპი: „ობამა უკანონოდ მისმენდა“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მორიგი სკანდალური განცხადება გააკეთა.

მან თქვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ ობამას დავალებით სპეცსამსახურები მისი სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენებს ახორციელებდნენ.

– ის, რაც ობამამ ჩაიდინა, შეიძლება, მხოლოდ უოტერგეიტის გახმაურებულ სკანდალს შევადაროთ, რომელმაც რიჩარდ ნიქსონის პოლიტიკური კარიერა შეიწირა, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა თავისი ბრალდების დამამტკიცებელი არცერთი ფაქტი არ მოიყვანა.

ობამას წარმომადგენელმა ლუისმა ტრამპის ბრალდებები უარყო.

– ტრამპი ცრუობს! –ამტკიცებს ლუისი.

პენელოპა ფიიონი: „კანონი არ დაგვირღვევია“

საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატის მეუღლე პენელოპა ფიიონმა განაცხადა, რომ ქმრის თანაშემწედ მართლაც მუშაობდა და ხელფასსაც კანონიერად იღებდა.

– კანონი არ დაგვირღვევია! – ამტკიცებს მადამ ფიიონი.

პენელოპა ამბობს, რომ მისი ქმრის გარშემო აჟიოტაჟი ხელოვნურად არის აგორებული და მისი მეუღლის დისკრედიტაცია სურთ.

მალაიზიამ ჩრდილოეთ კორეის ელჩი გააძევა

გრძელდება ჩრდილოეთ კორეის დიქტატორის ნახევარძმის, კიმ ჩენ ნამის მკვლელობის გამოძიება.

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მკვლელობა ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურების მიერ არის ორგანიზებული და ჩრდილოკორეელი დიპლომატები მასში აქტიურად მონაწილეობდნენ.

ამან ოფიციალური ფხენიანი აღაშფოთა.

– მალაიზიის ხელისუფლება ამერიკელების მარიონეტია! გამოძიება ვაშინგტონის დაკვეთით აბსურდულ ბრალდებებს გვიყენებს, – განაცხადა ჩრდილოეთ კორეის ელჩმა მალაიზიაში კან ჩხოლმა.

პასუხად მალაიზიის ხელისუფლებამ კან ჩხოლი პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა.

ბორის ჯონსონი მოსკოვში ჩასვლას აპირებს

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავა. ამის თაობაზე ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება.

დაგეგმილია ბორის ჯონსონის შეხვედრები ვლადიმერ პუტინთან და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან.

– მოლაპარაკებების ძირითადი თემა უკრაინასა და სირიაში შექმნილი მდგომარეობა იქნება, – განუცხადა ჟურნალისტებს ჯონსონმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ მოლაპარაკებები რთული იქნება, რადგან სირიასა და უკრაინასთან მიმართებით დიდი ბრიტანეთის პოზიცია რუსებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

– მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, – ამბობს ჯონსონი.

ნავალნის კვერცხები დაუშინეს

უფაში რუსეთის დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი ჩავიდა.

სადგურზე მას დაქირავებული ხულიგნების ჯგუფი დახვდა 15-20 კაცის ოდენობით.

როგორც კი ნავალნი მატარებლიდან ჩამოვიდა, მათ დაიწყეს სკანდირება: „სირცხვილი ამერიკის აგენტს!“ „ნავალნი სამშობლოს მოღალატეა!“ და ა.შ.

ამის შემდეგ ოპოზიციონერს კვერცხები დაუშინეს.

– მომხდარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პუტინს ჩემი ეშინია. რადგან ხულიგნების დასაქირავებლად ფული დახარჯეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი მოქმედება სწორია, – თქვა ნავალნიმ.

რუსული დემოკრატიული ოპოზიციის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინის რეჟიმთან ბრძოლას კიდევ უფრო მეტი აქტიურობით განაგრძობს.

– მე არ გავჩერდები! – ამბობს ნავალნი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

კადიროვი აშშ-ის წინააღმდეგ

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ აშშ რუსეთში დესტაბილიზაციას გეგმავს.

– ამერიკელები ყველაზე ბინძურ მეთოდებს იყენებენ. მათი მიზანია დესტაბილიზაცია რუსეთში, – აცხადებს კადიროვი.

ის მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა. პირიქით, ანტირუსული განწყობილებები გაიზარდა. კადიროვმა პუტინს მოუწოდა, უფრო აქტიური პოლიტიკა გაატაროს იმ პოსტსაბჭთა ქვეყნების მიმართ, რომლებიც „ამერიკის მარიონეტები“ არიან.

– უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს უკრაინა. აუცილებელია როგორც დონბასის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი რუსეთის შემადგენლობაში შესვლისთვის ხელშეწყობა, აგრეთვე ზაპოროჟიეს, ხარკოვის, ოდესის მოსახლეობისთვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა. დღეს ეს მოსახლეობა უკრაინელი ნაციონალისტების ტერორის ქვეშ იტანჯება, – ამტკიცებს კადიროვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ბაჰამის კუნძულებზე მოცურავე ღორები ლუდისა და რომის მიღებას შეეწირნენ

ბაჰამის კუნძულებზე ზღვაში მოცურავე ორი ათეულიდან შვიდი ღორი დაღუპული აღმოაჩინეს. ზოგიერთი მონაცემით,

ცხოველები მას შემდეგ დაიღუპნენ, რაც ტურისტები მათ რომითა და ლუდით გაუმასპინძლდნენ.

როგორც ღორების ერთ-ერთმა პატრონმა ვეიდ ნიქსონმა განაცხადა, მათ შეუფერებელი საკვები მისცეს. მისი თქმით, 30 წლის განმავლობაში მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია, ამიერიდან კი მოგვიწევს, თვალი ვადევნოთ ტურისტების ქმედებებს.

– ამჟამად კუნძულზე უამრავი ადამიანი ჩამოდის, რომლებსაც თან მოაქვთ საკვები და აკეთებენ იმას რასაც მოისურვებენ. მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ღორებს აძლევენ ლუდს, რომს, ზურგზე მოასხდებიან და სეირნობენ, – აღნიშნა ნიქსონმა.

ამავე დროს, ცხოველების დაღუპვის ზუსტი მიზეზი უცნობია. ბაჰამის კუნძულების ცხოველთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ნაკლებ სავარაუდოა, თითქოს ვინმეს განზრახ სურდა ღორების მოწამვლა. ასევე არც ის არის გამორიცხული, რომ ცხოველებს თავად ეპოვათ და შეეჭამათ ისეთი რამ, რამაც მათი სიკვდილი გამოიწვია.

ღორები პატარა, დაუსახლებელ კუნძულ ბიგ-მეიჯორ-კეიზე ეკსუმის რაიონში ბინადრობენ. ტურისტებს შორის ეს კუნძული ღორების კუნძულის სახელით არის ცნობილი, ხოლო ცხოველების საყვარელ პლაჟს პიგ-ბიჩს ეძახიან.

გერმანიაში ირემი მონადირეებს ძროხების ნახირში დაემალა

ძროხების ნახირს, რომელიც გერმანიის ქალაქ ფლენსბურგის შემოგარენში ბალახობდა, ირემი შეუერთდა.

ადგილობრივებმა ირემი დაახლოებით ორი წლის წინ შენიშნეს. ის რეგულარულად სტუმრობდა შინაური ცხოველების ნახირს და სულ უფრო მეტ დროს ატარებდა მათ გვერდით. ზოგჯერ გარეული ცხოველი ტყეში მიდიოდა და რამდენიმე კვირა ან თვე არ ჩნდებოდა, თუმცა ყოველთვის ბრუნდებოდა. მისი რქების მიხედვით, ირემი დაახლოებით ხუთი წლისაა.

– შესაძლოა, ის ძროხებს შორის თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობს, ვინაიდან იქ მასზე ნადირობას არავინ დაიწყებს, – ვარაუდობს კატრინ კოხი, ცხოველთა დაცვის გერმანული ასოციაციის წევრი. მისი თქმით, ირემი, შესაძლოა, მიიზიდა თივამაც, რომელსაც ძროხებს საკვებად ურიგებენ.

– შესაძლოა, ახლა ის თავს უკვე ძროხად აღიქვამს, – ხუმრობს იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელი გერდ კემერი, რომელსაც ეკუთვნის საძოვრები, რომლებზეც ნახირი საზრდოობს. ირემი უკვე ადამიანებსაც შეეჩვია და მათ 20-30 მეტრის მანძილზე მიახლოების უფლებას აძლევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

ბორჯღალოსანთა რთული გამარჯვება ესპანეთში

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ესპანელებმა ცენტრიდან დაიწყეს თუ არა, ბურთი ხელთ იგდეს, იქვე ჯარიმის უფლება მოიპოვეს და ფულბეკმა ბრედ ლინკლეიტერმა უნაკლოდ დაარტყა – 3:0.

ამის შემდეგ თითქოს შევუტიეთ, მეტოქეს ჯანში ვჯობდით, მაგრამ ამ უპირატესობის გამოყენებას ვერ ვახერხებდით. თუმცა, შანსი მხოლოდ ერთხელ იყო, როდესაც ჯარიმა მოვიპოვეთ, მაგრამ კვირიკაშვილმა ცუდად დაარტყა და ააცილა.

ესპანელები ძალზე აგრესიულად მოქმედებდნენ და თავს კარგად იცავდნენ.

ამას ისიც დაერთო, რომ მოედნიდან იძულებით გავიდა ბორჯღალოსანთა კაპიტანი შარიქაძე, რომელმაც ტრავმა მიიღო და მის ნაცვლად კვართი პირველად მოირგო ბადრი ლიპარტელიანმა, რომელმაც ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა, მაგრამ შარიქაძის შეცვლა აშკარად გაუჭირდა.

მასპინძლები არც შეტევებს ერიდებოდნენ და ერთ-ერთი ასეთი მცდელობა ლელოთი დაასრულეს: ნატურალიზებულმა ფიჯელმა მეორეხაზელმა ილაიტია გავიდიმ ბურთის ხაზს იქით დადება მოახერხა, ხოლო ასევე ნატურალიზებულმა ლინკლეიტერმა გარდასახა და ესპანეთი 10:3 დაწინაურდა. ეს 26-ე წუთზე მოხდა და ტაიმის ბოლომდე ჩვენებმა შეტევების დალაგება ვერაფრით მოახერხეს.

მე-2 ტაიმი ბორჯღალოსანთა იერიშით დაიწყო, მაგრამ მსაჯმა 2 ლელო არ ჩაგვითვალა, მესამე ლელოს კი ვერც მოედნის ფარგლებმა და ვერც მსაჯმა ვერაფერი მოუხერხეს: რამდენიმე დარტყმის შემდეგ ვასილ ლობჟანიძემ შეტევის განვითარების მიმართულება შეცვალა და იერიშში თხილაიშვილი ჩართო, რომელმაც გზად ორ მეტოქეს აუარა გვერდი და ლელო შევიდა, ხოლო მეკოს ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა – 10:10.

შემდეგი ლელო კი მთლიანად უკანახაზელების დამსახურებაა: დერეფანში ბურთი მოვიგეთ, უკანახაზელებმა ხელდახელ ჩაათამაშეს, ხოლო მეკომ ლელოსკენ ფეხით შეაცურა, იქ კი ყველას კიდევ ერთმა დებიუტანტმა, მათიაშვილმა დაასწრო და ლელოს დადება აღარ გასჭირვებია. კვირიკაშვილმა ეს ლელოც გარდასახა და ჩვენი ნაკრები 7 ქულის უპირატესობით დააწინაურა.

დარჩენილ 20 წუთში ესპანელები გვიტევდნენ და გასათანაბრებლად იწევდნენ, რამდენჯერმე ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდათ.

ბოლოს კი ჯარიმის დარტყმის უფლება მივიღეთ და კვირიკაშვილმა თამაშს წერტილი დაუსვა – 20:10. სეზონში პირველად საქართველო ბონუსს ვერ შესწვდა.

გაიმართა ჯგუფის კიდევ 2 მატჩი: რუმინეთმა სტუმრად 30:10 დაამარცხა რუსეთი, ხოლო გერმანელებმა შინ ბელგიელებს 34:29 აჯობეს.

სატურნირო ცხრილი:

1.საქართველო	3	3	0	0	101-22	14
2.რუმინეთი	3	2	0	1	81-54	10
3.გერმანია	3	2	0	1	81-117	8
4.ესპანეთი	3	1	0	2	29-39	4
5.რუსეთი	3	1	0	2	41-64	4
6.ბელგია	3	0	0	3	53-90	2

პლეი ოფისთვის ბრძოლა დაიძაბა

კაკტუსი-დინამო 67:92
(18:29, 15:26, 23:14, 11;23)

სუპერლიგის ლიდერი დინამო, რომელმაც 17-მატჩიანი წარმატებული სტარტის მერე პირველი მარცხი წინა ტურში განიცადა, ცხრილის შუაწელის ბინადარ კაკტუსს შეხვდა და დამაჯერებლად მოუგო.

კაკტუსს აკლდა წინა ტურში დისკვალიფიცირებული დავით ლომიძე, დინამო კი ოპტიმალური შემადგენლობით იყო და არც გასჭირვებია გამარჯვება. პირველი პერიოდი დინამოელებმა 29:18 მოიგეს, მეორეში კი კიდევ უფრო იოლად – 26:15 იმარჯვეს და დიდი შესვენებისთვის 55:33 დაწინაურდნენ. ვითარება არც მეორე ტაიმში შეცვლილა – კაკტუსელებმა მესამე პერიოდში ჩამორჩენის 10 ქულამდე შემცირება მოახერხეს, მაგრამ ეს იყო მათი მაქსიმუმი. დასკვნითი 10-წუთეული დინამოელებმა 23:11 იმარჯვეს და საბოლოოდ 25-ქულიანი მოგება გაიფორმეს.

დინამოელთაგან 21 ქულით ბომბარდირი გახდა ნოდარ გოგოძე. 14-14 ქულა დეონტა ვონმა და ილია ლონდარიძემ მოაგროვეს. 12-12 ქულა მიხეილ ჭოჭუასა და მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე დაგროვდა.

კაკტუსში 16 ქულით ქულით ბომბარდირი ირაკლი ჩლაიძე შეიქნა, 14 ქულა და 12 მოხსნა ჯონ ფლოვიესმა მიითვალეს.

რუსთავი-მგზავრები 86:69
(27:20, 20:22, 13:15, 26:12)

რუსთავში სათამაშოდ ცხრილის ბოლოადგილოსანი მგზავრები ჩავიდა. შეხვედრა საკმაოდ დაძაბული გამოდგა, რომლის ბედიც ბოლო პერიოდში მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

პირველი პერიოდი რუსთაველებმა 27:20 მოიგეს, თუმცა მეორეში სტუმრებმა თამაში გამოასწორეს და ჩამორჩენა 2 ქულით შეამცირეს. მესამე მეოთხედში მგზავრებმა მინიმუმამდე დაიყვანეს სხვაობა და თამაში თანაბარ კალაპოტს დაუბრუნდა. მატჩის ბედი ბოლო ათწუთეულში გაირკვა – მასპინძლებმა მეტი სიზუსტე გამოავლინეს და გამარჯვებამდე მივიდნენ – 86:69.

რუსთაველთაგან 20 ქულით და 8 მოხსნით საუკეთესო იყო სერგო ათუაშვილი. 18 ქულა რეზო ჩაჩანიძემ დააგროვა, ხოლო 13-13 ქულა ტომი სპანოლოსა და ქეისი კასპერბაუერის ანგარიშზე დაგროვდა.

მგზავრებში 19 ქულით საუკეთესო იყო კორი ალენი, რეჯი მერფის ანგარიშზე კი 14 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

სოხუმი-ოლიმპი 90:76
(18:10, 17:16, 22:18, 33:32)

სოხუმი პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის, ოლიმპი კი – სუპერლიგაში დასარჩენად. ორივე გუნდისთვის ამ მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. შეხვედრის პირველსავე პერიოდში სოლიდურ უპირატესობას სოხუმელები დაეპატრონნენ. ვიტალი ჩერნიის გაწვრთნილმა გუნდმა საწყისი პერიოდი 18:10 მოიგო, ხოლო მეორეში ლიდერობას 1 ქულა მიამატა – 35:26.

თუკი ოლიმპს რაიმე ამბიცია ჰქონდა, მესამე პერიოდში უნდა ეყოჩაღა, თუმცა სოხუმელებმა დაცვაშიც კარგად ითამაშეს და შეტევაშიც: შედეგად ათწუთეული 22:18 მოიგეს და გადამწყვეტი პერიოდის წინ 13 ქულით დაწინაურდნენ. შეხვედრა ისე ჩამთავრდა, ვითარება არ დაძაბულა. სოხუმმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, რაშიც სოლიდური წილი დუეინ ლათანმა დაიდო.

ამერიკელმა ლეგიონერმა 26 ქულა, 10 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. 16 ქულა ალექსანდრ ტიშჩენკოს ანგარიშზე დაგროვდა, გიორგი ჯგერენაიამ კი 14 ქულა მიითვალა.

ოლიმპში 17 ქულით საუკეთესო იყო ტრე ბურნეთი.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო	19	18	1	1682-1364	37
2.ქუთაისი	19	15	4	1537-1404	34
3.რუსთავი	19	11	8	1510-1504	30
4.სოხუმი	19	8	11	1602-1640	27
5.კაკტუსი	19	8	11	1523-1624	27
6.ბათუმი	19	7	12	1459-1520	26
7.ოლიმპი	19	5	14	1330-1438	23
8.მგზავრები	19	4	15	1390-1539	23

შენიშვნა: ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

ეროვნული ლიგა სამტრედიამ და შუქურამ გახსნეს

სამტრედია-შუქურა 1:1

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე
1:0 ბერიაშვილი (19), 1:1 ახალაძე (42)

სამტრედია: მიგინეიშვილი, კასრაძე, სანდოხაძე, მანჯგალაძე, რაჟამაშვილი, მარკოზაშვილი, ჩაგელიშვილი (სამუშია 81), ბერიაშვილი, გოგიაშვილი, ახალაძე (სუხომლინოვი 60), მჭედლიშვილი

შუქურა: ჯიოევი, კალანდია, მახარაძე, ართმელაძე (მამულაშვილი 65), კუტალია (დაგარგულია 90), ჯეფინიო, კლიმიაშვილი, ჯაფარიძე, საბაძე (ჭანუყვაძე 87), გურული, ჩაჩუა

გაძევება: ჯეფინიო (68)

სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე ეროვნული ლიგის პირველი ტურის პირველი შეხვედრა გაიმართა. მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი დავით მუჯირი და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვაისი ესწრებოდნენ.

ახალი ჩემპიონატის გახსნითი შეხვედრა საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ტერიტორიულ უპირატესობას სამტრედია ფლობდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, „შუქურამ“ ბოლომდე იბრძოლა და მნიშვნელოვანი 1 ქულა მოიპოვა. აღსანიშნავია ისიც, რომ 68-ე წუთიდან ქობულეთელებმა 10 კაცით ითამაშეს, რადგანაც მთავარმა არბიტრმა გიორგი ყრუაშვილმა მეორე ყვითელი ბარათით მოედნიდან ჯეფინიო გააძევა.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მე-19 წუთზე დავით რაჟამაშვილმა ბურთი ფლანგზე მიიღო, ცენტრისკენ შემოიწია და ზუსტი შორეული დარტყმით აზამტ ჯიოევს ცხრიანში გაუტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებიც გააქტიურდნენ. მართალია, ისინი მეტოქეს აქტიურად არ უტევდნენ, მაგრამ საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. ერთ-ერთი ასეთი იერიშისას გია გურულის გუნდმა საჯარიმო დარტყმის უფლება მოიპოვა. სტანდარტიდან მეტოქის საჯარიმოში ბურთი ირაკლი კლიმიაშვილმა ჩააწოდა, იქ კი ლევან საბაძემ მეკარისა და მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით ისარგებლა და ბურთი დაუცველ კარში გადაგზავნა.

შეხვედრის დარჩენილ დროში ორივე კართან რამდენიმე რეალური მომენტი შეიქმნა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და გუნდებმა თითო ქულა გაინაწილეს.

შედეგები

4 მარტი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

მანჩესტერი-ბორნმუთი	1:1
ლესტერი-ჰალი	3:1
სტოკი-მიდლსბრო	2:0
სუონსი-ბარნლი	3:2
უოტფორდი-საუთჰემპტონი	3:4
ვესტ ბრომვიჩი-კრ.პალასი	0:2
ლივერპული-არსენალი	3:1

საატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	26	20	3	3	55-19	63
2.ტოტენჰემი	26	15	8	3	50-18	53
3.ლივერპული	27	15	7	5	58-34	52
4.სიტი	25	16	4	5	51-29	52
5.არსენალი	26	15	5	6	55-31	50
6.მანჩესტერი	26	13	10	3	39-22	49
7.ევერტონი	26	12	8	6	42-27	44
8.ვესტ ბრომვიჩი	27	11	7	9	36-34	40
9.სტოკი	27	9	8	10	32-40	35
10.საუთჰემპტონი	26	9	6	11	32-34	33
11.ვესტ ჰემი	26	9	6	11	35-44	33
12.ბარნლი	27	9	4	14	30-40	31
13.უოტფორდი	27	8	7	12	33-47	31
14.ბორნმუთი	27	7	6	14	37-52	27
15.ლესტერი	27	7	6	14	30-45	27
16.სუონსი	27	8	3	16	35-59	27
17.კრ.პალასი	27	7	4	16	35-46	25
18.მიდლსბრო	27	4	10	13	19-30	22
19.ჰალი	27	5	6	16	24-53	21
20.სანდერლენდი	26	5	4	17	24-48	19

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბლექბერნი-უიგანი	1:0
ბრისტოლი-ბარტონი	0:0
დერბი-ბარნსლი	2:1
ფულემი-პრესტონი	3:1
იფსვიჩი-ბრენტფორდი	1:1
ნოტინგემი-ბრაიტონი	3:0
ქარ-კარდიფი	2:1
რედინგი-ვულვზი	2:1
როტერჰემი-ასტონ ვილა	0:2
უენსდი-ნორვიჩი	5:1
ჰადერსფილდი-ნიუკასლი	1:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლეგანესი-გრანადა	1:0
ეიბარი-რეალი	1:4
ვილიარეალი-ესპანიოლი	2:0
ბარსელონა-სელტა	5:0

საატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	26	18	6	2	76-21	60
2.რეალი	25	18	5	2	67-26	59
3.სევილია	25	17	4	4	49-29	55
4.სოსიედადი	26	15	3	8	42-36	48
5.ატლეტიკო	25	13	7	5	45-22	46
6.ვილიარეალი	26	12	9	5	38-19	45
7.ეიბარი	26	11	6	9	42-37	39
8.ბილბაო	25	11	5	9	31-30	38
9.ესპანიოლი	26	9	9	8	35-35	36
10.სელტა	25	10	5	10	39-44	35
11.ალავესი	25	8	9	8	25-31	33
12.ლას პალმასი	25	7	8	10	35-39	29
13.ვალენსია	25	8	5	12	35-43	29
14.ბეტისი	25	7	6	12	27-41	27
15.მალაგა	25	6	8	11	32-42	26
16.ლეგანესი	26	6	6	14	21-40	24
17.დეპორტივო	24	4	8	12	27-40	20
18.გრანადა	26	4	7	15	24-54	19
19.ხიხონი	25	4	5	16	27-54	17
20.ოსასუნა	25	1	7	17	25-59	10

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-სევილია ბ	0:0
ხირონა-ხეტაფე	5:1
რაიო-რეუსი	0:0
ოვიედო-კადისი	2:1

გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-ლევერკუზენი	6:2
მაინცი-ვოლფსბურგი	1:1
კიოლნი-ბაიერნი	0:3
ვერდერი-დარმშტადტი	2:0
ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადტი	5:2
გლადბახი-შალკე	4:2

საატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	23	17	5	1	57-13	56
2.ლაიპციგი	23	15	4	4	43-24	49
3.დორტმუნდი	23	12	7	4	52-25	43
4.ჰოფენჰაიმი	23	10	11	2	44-24	41
5.ჰერტა	22	11	4	7	30-24	37
6.აინტრახტი	22	10	5	7	25-22	35
7.კიოლნი	23	8	9	6	31-25	33
8.გლადბახი	23	9	5	9	29-31	32
9.ლევერკუზენი	23	9	3	11	36-38	30
10.ფრაიბურგი	22	9	3	10	28-39	30
11.მაინცი	23	8	5	10	32-38	29
12.აუგსბურგი	23	7	7	9	23-30	28
13.შალკე	23	7	6	10	28-27	27
14.ვერდერი	23	7	4	12	30-43	25
15.ვოლფსბურგი	23	6	5	12	21-34	23
16.ჰამბურგი	22	5	5	12	21-45	20
17.ინგოლშტადტი	23	5	3	15	21-39	18
18.დარმშტადტი	23	3	3	17	15-45	12

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-ჰანოვერი	2:0
მიუნხენი-ზ.პაული	1:2

იტალია. სერია ა

რომა-ნაპოლი	1:2
სამპდორია-პესკარა	3:1
მილანი-კიევო	3:1

საატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	26	22	0	4	55-17	66
2.რომა	27	19	2	6	58-25	59
3.ნაპოლი	27	17	6	4	62-30	57
4.ატალანტა	26	16	3	7	42-26	51
5.ლაციო	26	15	5	6	45-29	50
6.მილანი	27	15	5	7	40-30	50
7.ინტერი	26	15	3	8	41-27	48
8.ფიორენტინა	26	11	8	7	44-37	41
9.სამპდორია	27	10	8	9	34-33	38
10.ტორინო	26	9	9	8	48-42	36
11.კიევო	27	10	5	12	29-37	35
12.კალიარი	26	9	4	13	35-52	31
13.სასუოლო	26	9	3	14	35-42	30
14.უდინეზე	26	8	5	13	28-35	29
15.ბოლონია	26	7	7	12	24-39	28
16.ჯენოა	26	6	8	12	28-41	26
17.ემპოლი	26	5	7	14	15-37	22
18.პალერმო	26	3	6	17	22-50	15
19.კროტონე	26	3	4	19	21-45	13
20.პესკარა	27	2	6	19	28-60	12

იტალია. სერია ბ

ენტელა-ბარი	2:0
ტრაპანი-ლატინა	1:1
ასკოლი-ნოვარა	1:2
აველინო-პერუჯა	0:5
სპალი-პიზა	1:1
ტერნანა-პრო ვერჩელი	1:2
კარპი-სპეცია	1:0
ჩეზენა-ვიჩენცა	1:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ნანსი	1:0
მონპელიე-გენგამი	1:1
ბასტია-სტ.ეტიენი	0:0
დიჟონი-ნიცა	0:1
კაენი-ანჟე	2:3
მეცი-რენი	1:1

საატურნირო ცხრილი:

1.მონაკო	27	19	5	3	78-25	62
2.პსჟ	28	19	5	4	56-19	62
3.ნიცა	28	18	8	2	45-21	62
4.ლიონი	27	15	2	10	55-32	47
5.ბორდო	28	11	10	7	36-34	43
6.სტ.ეტიენი	28	10	10	8	31-22	40
7.მარსელი	27	11	6	10	36-36	39
8.რენი	28	9	10	9	27-32	37
9.ანჟე	28	10	6	12	28-35	36
10.ტულუზა	27	9	8	10	31-28	35
11.გენგამი	28	9	8	11	32-36	35
12.ნანტი	27	9	7	11	24-37	34
13.მონპელიე	28	8	9	11	40-46	33
14.კაენი	28	9	4	15	29-46	31
15.მეცი	27	8	7	12	26-51	31
16.ლილი	27	8	5	14	26-35	29
17.ნანსი	28	7	7	14	18-35	28
18.დიჟონი	28	6	9	13	37-45	27
19.ბასტია	28	5	10	13	24-38	25
20.ლორიანი	27	6	4	17	27-53	22

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ორლეანი-ნიორი	1:1
ტრუა-ამიენი	4:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

ტვენტე-ტილბურგი	2:1
პსვ-როდა	4:0
ზვოლე-ვიტესი	3:1

პორტუგალია. პრიმერა ლიგა

ბრაგა-აროუკა	3:1
პორტუ-ნასიონალი	7:0
ფეირენშე-ბენფიკა	0:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ორენბურგი-არსენალი	3:0
ცსკა-ზენიტი	0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

კილმანროკი-მოზერველი	1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუგანო-ლოზანა	2:1
იანგ ბოიზი-თუნი	3:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

შტურმი-ალტახი	3:0
ვოლფსბერგერი-ადმირა	1:1
მატერსბურგი-სტ.პოლენი	1:0
რიდი-აუსტრია	0:3

ბელგია. 1 დივიზიონი

ბევერენი-გენტი	2:3
გენკი-ბრიუგე	2:1
ვარეგემი-ვესტერლო	2:2
მეხელენი-ანდერლეხტი	3:2
მუსკრონი-სტანდარდი	1:0
ოსტენდე-ლოკერენი	0:0
სტ.ტრუიდენი-ეუპენი	2:1
შარლერუა-კორტრაიკი	1:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-იანინა	1:1
პანეთოლიკოსი-ლევადიაკოსი	2:0
პანათინაიკოსი-ვერია	5:0

თურქეთი. სუპერლიგა

ბურსა-გაზიანთები	2:1
ბეშიქთაში-რიზე	1:0

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

სლოვაკეკო-ბრნო	0:0
ტეპლიცე-იიჰლავა	1:0
იაბლონეცი-ბოჰემიანსი 1905	0:0
ჰრადეც კრალოვე-ბოლესლავი	0:0
სპარტა-დუკლა	1:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

კრაკოვია-არკა	1:1
ნეცეჩა-რუხი	0:0
პიასტი-ვისლა	1:2

უკრაინა. პრემიერლიგა

დნიპრო-ჩერნომორეცი	1:1
დინამო-ოლიმპიკი	1:0

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-სონდერიისკე	1:2

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა იწვევს ბაქტერიულ მენინგიტს

ეკა ირემაშვილი

ნანა ტატიშვილი

ბაქტერიული მენინგიტი სიცოცხლისათვის საშიში სერიოზული დაავადებაა. ბაქტერიული მენინგიტი ცენტრალური ნერვული სისტემის, ანუ თავისა და ზურგის ტვინის მფარავი გარსების ანთებაა.

ამ დაავადებასთან დაკავშირებით მიხეილ იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ექიმი-ნევროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნანა ტატიშვილი საუბრობს.

ნანა ტატიშვილი:

– ბაქტერიული მენინგიტი არის ცენტრალური ნერვული სისტემის, ანუ თავისა და ზურგის ტვინის მფარავი გარსების ანთება. მენინგიტით დაავადებულ ბავშვებს აღენიშნებათ სხეულის ტემპერატურის მომატება, თავის ტკივილი, კისრის კუნთების რიგიდობა ანუ დაჭიმულობა, ასევე შეიძლება ჰქონდეთ გულისრევა, ღებინება, თავის ტკივილის გაძლიერება შუქზე. ბავშვი შეიძლება იყოს დეზორიენტირებული დროსა და გარემოში ან მოთენთილი, მიდრეკილი ძილისკენ.

– რა იწვევს ბაქტერიულ მენინგიტს?

– მენინგიტის გამომწვევი სხვადასხვა ვირუსი და ბაქტერია შეიძლება იყოს. ვირუსული მენინგიტისგან განსხვავებით, ბაქტერიულ მენინგიტს სიცოცხლისათვის საშიში გართულებები შეიძლება მოჰყვეს. ამ ორი მდგომარეობის ერთმანეთისგან გარჩევისა და გამომწვევი აგენტის დადგენის მიზნით თქვენს შვილს შეიძლება დასჭირდეს ლუმბალური პუნქცია.

– რა არის ლუმბალური პუნქცია?

– ეს არის პროცედურა, რომლის დროსაც ხერხემლის არხის ქვედა ნაწილში ხდება ნემსით ჩხვლეტა და მცირე რაოდენობით თავზურგტვინის სითხის აღება. ეს პროცედურა სრულიად უსაფრთხოა. არავითარი საშიშროება იმისა, რომ თქვენს შვილს ჩხვლეტის შედეგად განუვითარდება დამბლა, არ არსებობს, რადგან ნემსი შეგვყავს მხოლოდ ხერხემლის არხში, ზურგის ტვინიდან მოშორებით. მიღებული სითხის გამოკვლევა აუცილებელია ბაქტერიული და ვირუსული მენინგიტის ერთმანეთისაგან გასარჩევად, ვინაიდან ზუსტი დიაგნოსტიკის გარეშე შეუძლებელია ეფექტური მკურნალობის ჩატარება.

– რა გართულებებია მოსალოდნელი?

– ბაქტერიული მენინგიტი არის სიცოცხლისათვის საშიში სერიოზული დაავადება. ბაქტერიული მენინგიტით დაავადებული ბავშვის გამოჯანმრთელება ყოველგვარი გართულების გარეშე შესაძლებელია გამომწვევი აგენტის დროული აღმოჩენისა და სწორად შერჩეული ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემთხვევაში.

თუმცა, ზოგიერთი სახის მენინგიტის დროს შესაბამისი მკურნალობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია განვითარდეს ისეთი მძიმე გართულებები, როგორიც არის სმენის სრული დაკარგვა, დამბლის განვითარება და, უკიდურეს შემთხვევაში, სიკვდილიც კი.

– როგორ მკურნალობენ მენინგიტს?

– ბაქტერიული მენინგიტით დაავადებული ბავშვების მკურნალობა წარმოებს საავადმყოფოს პირობებში ანტიბიოტიკებით – ვენაში შესაყვანი პრეპარატითა და სხვა სამკურნალო საშუალებებით. გაწერის შემდეგ ბავშვს შესაძლებელია მიეცეს რეკომენდაცია ანტიბიოტიკებით სახლში მკურნალობის გაგრძელების შესახებ.

– როგორ ავარიდოთ თავი დაავადების გავრცელებას?

– ზოგჯერ შესაძლოა მოხდეს მენინგიტის გამომწვევი აგენტის გადაცემა ერთი ადამიანიდან მეორეზე.

დროის ხანგრძლივობა, როცა თქვენი ბავშვის დაავადება გადამდებია, განისაზღვრება 2 დღიდან 2 კვირამდე და დამოკიდებულია გამომწვევის ტიპზე. თქვენი ექიმი შეგატყობინებთ, არის თუ არა თქვენი შვილის დაავადება გადამდები და როდიდან შეძლებს ნორმალურ, აქტიურ ცხოვრებას.

– რა წესები უნდა დავიცვათ იმისთვის, რომ დაავადება თავიდან ავირიდოთ?

– აუცილებლად დაიცავით შემდეგი წესები: ხშირად დაბანეთ ბავშვს ხელები, ხშირად დაიბანეთ ხელები და დარწმუნდით, რომ ბავშვთან კონტაქტში მყოფი ყველა პირი იცავს ამ წესს, არ მისცეთ უფლება ოჯახის წევრებს გამოიყენონ ბავშვის ჭიქა და სხვა ჭურჭელი, თავი აარიდეთ ნერწყვთან კონტაქტს, ასეთ კონტაქტში იგულისხმება კოცნაც.

– როდის უნდა დავუკავშირდეთ ექიმს?

– ექიმთან დაკავშირება აუცილებელია მაშინვე: თუ ბავშვის მდგომარეობა უეცრად დამძიმდა, თუ ბავშვთან კონტაქტში მყოფ პირს გამოუვლინდა მენინგიტის სიმპტომები, თუ გაგიჩნდათ სხვა კითხვები, დაუკავშირდით ექიმს 24 საათის განმავლობაში.

კალეიდოსკოპი

ჩრდილოირლანდიელმა თავი ცოცხლად დაიმარხა

ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქ ბელფასტის მცხოვრები სამი დღით საცხოვრებლად კუბოში გადავიდა, რათა ამით დაეხმაროს ადამიანებს, რომლებიც მავნე ჩვევების ან დეპრესიისგან იტანჯებიან.

ქალაქის ერთ-ერთი ეკლესიის მახლობლად ამოთხარეს ღრმა საფლავი, მასში ჩაუშვეს დიდი კუბო, რომელშიც შესაძლებელია არა მხოლოდ წოლა, არამედ ჯდომაც. გარდა ამისა, შიგნით დაყენებულია განათება, ვენტილაცია და ვაი-ფაი. საქველმოქმედო ორგანიზაცია ვოლქინგ ფრიის დამფუძნებელი ჯონ ედვარდსი იქ სამი დღის გატარებას გეგმავს.

ის საფლავიდან ვიდეოტრანსლიაციას აწარმოებს, ასევე ინტერნეტის დახმარებით ეკონტაქტება ალკოჰოლიკებსა და ნარკომანებს.

– მინდა მათ საფლავიდან გავესაუბრო, სანამ ისინი იქ თავად მოხვედრილან და მათ იმედი ჩავუსახო, – განმარტა ედვარდსმა. მას მიაჩნია, რომ მისი აქცია მილიონობით ადამიანის ყურადღებას მიიპყრობს მთელ მსოფლიოში.

ლეკვთან თამაშით გართული მძღოლი ქალი პოლიციის უფროსის მანქანას დაეჯახა

ამერიკის იუტას შტატში ავტომოყვარული ქალი ადგილობრივი პოლიციის უფროსის მანქანასთან შეჯახებაშია დამნაშავე. რისი მიზეზიც ის გახდა, რომ მანქანის მართვისას მან გადაწყვიტა თავის ლეკვს მოფერებოდა.

23 წლის გოგონა, რომლის ვინაობა არ სახელდება, მანქანის მართვისას ლეკვთან თამაშით გაერთო, მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით გადავიდა და საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მანქანას შეეჯახა.

მოძრაობის წესების დამრღვევმა შერიფს დეივ პასმორს უთხრა, რომ ის საჭესთან ყურადღებით იყო, თუმცა პოლიციელის თქმით, მან დაინახა, რომ ქალმა მისი მანქანა შეჯახებამდე მხოლოდ რამდენიმე წამით ადრე შენიშნა, როდესაც შეჯახების თავიდან აცილება უკვე შეუძლებელი იყო.

საბედნიეროდ ავტოავარიის შედეგად არავინ დაშავებულა, მათ შორის, არც ლეკვი.

ჩინელმა პატარძალმა სასიძო ქორწილში ჯაჭვებით შეკრული მიათრია

ჩინეთში განრისხებულმა პატარძალმა სასიძო, რომელიც ქორწილში არ გამოცხადდა, ქუჩაში ჯაჭვებით ხელებშეკრული ათრია.

ინტერნეტში გამოქვეყნებულ ვიდეოში ჩანს, რომ საქორწინო კაბაში გამოწყობილი ქალი ლანძღვაგინებით ჯაჭვებით ხელებშეკრულ, ასფალტზე გართხმულ მამაკაცს მიათრევს, ის კი მას წინააღმდეგობას უწევს. ამ ყოველივეს კი უამრავი გამვლელი ადევნებს თვალს.

აღნიშნულმა ვიდეომ ჩინური სოციალური ქსელების ინტერნეტმომხმარებელთა შორის სკეპტიციზმი გამოიწვია. ბევრმა ივარაუდა, რომ „სიძე“ და „პატარძალი“ უბრალოდ რაღაცას უკეთებდნენ რეკლამას. სხვები მიიჩნევენ, რომ ვიდეოზე პერფომანსია აღბეჭდილი. მესამენი კი დარწმუნებულნი არიან, რომ ვიდეორგოლის გმირები სადომაზოხისტები არიან, რომლებიც ასეთი სახით ერთობოდნენ.

მეხანძრეებმა მთვრალი ბრიტანელები გადაარჩინეს

მეხანძრეებმა ბრიტანეთის ქალაქ ნიუჰემის (კორნუოლი) ორი მცხოვრები გადაარჩინეს, რომლებიც ტალახში ჩაეფლნენ.

ქალი და მამაკაცი, რომლებიც საკმარისზე მეტად ნასვამები იყვნენ, მდინარე ტრუროს სანაპიროდან გადავარდნენ, რომელიც ქალაქში მიედინება. ისინი ტალახში ჩაცვივდნენ და მასში წელამდე ჩაეფლნენ. გამვლელებმა მათი დახმარება ვერ შეძლეს და მაშველები გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მეხანძრეებმა სანაპიროზე კიბე ჩაუშვეს, ტალახიდან ამოსვლაში დაეხმარნენ და შემდეგ ისინი უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც სახანძრო ბრიგადის წარმომადგენელმა ტომ რენდლმა განაცხადა, მათი ტალახიდან ამოყვანა უფრო ადვილი იქნებოდა, ისინი უგონოდ მთვრალები, რომ არ ყოფილიყვნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

6 მარტისათვის

ვერძი – ჯანმრთელობისათვის არაკეთილისმყოფელი დღეა. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. ** კურო** – სამსახურში მცირე უსიამოვნებას ელოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ მერკური გმფარველობთ. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში ტრავმების მიღების ალბათობა იზრდება. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. **კირჩხიბი** – საქმიან შემოთავაზებას მაშინვე ნუ დათანხმდებით. შედეგი თქვენთვის არახელსაყრელი იქნება. **ლომი** – უცნობი ადამიანი თქვენზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. **ქალწული** – ერიდეთ სამოგზაუროდ წასვლას. საღამოს ფინანსური პრობლემები იჩენს თავს. **სასწორი** – პასიური დღეა. ახალი ნაცნობობა არაკეთილსაიმედოა. თავშეკავება დღის დევიზია. **ღრიანკალი** – იაქტიურეთ. იყავით მამაცი. სამომავლო გეგმებს ნუ დასახავთ. **მშვილდოსანი** – დღე რაციონალურად გაანაწილეთ და ყველაფერს მოასწრებთ. გიმახვილდებათ ინტუიცია. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასასვლელად შეუფერებელი დროა. ერიდეთ კონფლიქტს ოჯახის წევრებთან. **მერწყული** – ოპტიმისტურად განეწყვეთ. საინტერესო მოვლენებით აღსავსე დღეა. **თევზები** – სასურველია, ხელმძღვანელობას მთლიანად დაემორჩილოთ. უპირატესობა მიანიჭეთ ჯანსაღ საკვებს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

სჯანგოხდი



1. მდინარე კახეთში; 2. ხელოვნური ენა; 3. დარბაზი (ძვ.); 4. ასო „რ“-ს სახელწოდება; 5. იუპიტერის თანამგზავრი; 6. ხორციანი კორკოტი; 7. ბატონო (ინგლისურად); 8. ზვიგენისებრთა რაზმის თევზები; 9. ტუჩოსანთა ოჯახის მცენარე; 10. ორიანი ნარდში; 11. საფრანგეთის გლეხთა აჯანყება (1358 წ.); 12. ვაჟიშვილი; 13. ... პრესლი; 14. სამხატვრო გამოფენის დახურული დათვალიერება; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ... ნოლტი; 17. წნელის ღობე; 18. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 19. რჩეული, საუკეთესო ჯარი; 20. მწერი; 21. სიტყვიდან ასოების გადასმით სხვა სიტყვის მიღება; 22. რუსი კომპოზიტორი; 23. შინაური ფრინველი; 24. ... ჩოხელი; 25. სცენას რაც ანათებს; 26. რისამე აკრძალვა; 27. „... დაიდარდო!“; 28. ღამის პეპელა; 29. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 30. გრძელ დისტანციაზე რბენა ან ცურვა; 31. ძროხისთავიან ქალად წარმოდგენილი ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 32. ინდოელი ქალის კაბა; 33. წყლის ფრინველი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

პროსვორდი ა

შვეულად: 1. პაგანინი; 2. ონაგატა; 3. მძივი; 4. ერქვანი; 5. მეეზოვე; 10. ხონდრიტი; 11. თაყაიშვილი; 12. პროექტი; 15. პანიტერია; 16. ჩხოუში; 17. გამპერი; 20. დრაჟე.

თარაზულად: 6. საკანდელიძე; 7. დროზერა; 8. ჭრიჭინა; 9. ლინატე; 13. წეკო; 14. ჰამერი; 18. პერინიონი; 19. კანიო; 21. გრილი; 22. ფიზიკა; 23. ციხისძირი; 24. ტრაილერი.

პროსვორდი ბ

შვეულად: 2. უმეცარი; 3. ხვაშიადი; 4. იზოლატორი; 5. მზისა; 6. ასკანა; 8. ფიესტა; 11. ზვარაკი; 14. ადრენალინი; 15. დანსინგი; 16. ნობელიუმი; 17. ტაიბეი; 19. ტავერნა; 21. პიტნა; 22. წაბლი.

თარაზულად: 1. ცუცხვათი; 5. მექა; 7. ჯაფარა; 9. ჰემატოლოგია; 10. კაზრეთი; 12. ინფანტი; 13. ანორაკი; 16. ნიკოლაძე; 17. ტილი; 18. სტელა; 20. ფონოთეკა; 22. წინდა; 23. გერგეტი; 24. უემბლი; 25. ნოინი.

ფრანკო ძეფირელის „აიდას“ პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა

ლეგენდარული იტალიელი რეჟისორის ფრანკო ძეფირელის მიერ დადგმული „აიდას“ თბილისურმა პრემიერამ ანშლაგით ჩაიარა.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სპექტაკლი მაესტრო დანიელ ორენიმ იდირიჟორა. მთავარი პარტიები შეასრულეს მოწვეულმა ქართველმა სოლისტებმა ანიტა რაჭველიშვილმა, იანო ალიბეგაშვილმა, გია ონიანმა, გიორგი გაგნიძემ, რამაზ ჩიკვილაძემ, გიორგი ანდღულაძემ.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი, ბალეტი და ორკესტრი.

სპექტაკლი ოპერაში ფრანკო ძეფირელის ასისტენტმა სტეფანო ტრესპიდიმ დადგა.

ქართველმა მაყურებელმა „აიდა“ თბილისში პირველად ზუსტად 140 წლის წინ, 1877 წელს იხილა.

„აიდას“ ეს ვერსია ფრანკო ძეფირელიმ თავდაპირველად 2001 წელს ვერდის მშობლიურ ბუსეტოში კომპოზიტორის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით შექმნა და პრემიერაც ვერდის ფესტივალზე გაიმართა.

„ალი და ნინო“ ბრიუსელში იქნება წარმოდგენილი

8 მარტს მუსლიმი ალისა და ქართველი ნინოს სიყვარულის რომანტიკულ ისტორიას ბრიუსელში აჩვენებენ.



ფილმის ევროპული პრემიერა ქალთა საერთაშორისო დღეს აზერბაიჯანის ევროპული საზოგადოებისა და ევროკავშირში აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართება.

ფილმი შექმნილია მწერალ ყურბან საიდის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.

ფილმის მოქმედება კავკასიასა და ირანში ვითარდება პირველი მსოფლიო ომის მოვლენების ფონზე. ალის როლს ფილმში მსახიობი ადამ ბაკრი განასახიერებს, რომელიც კინოს მოყვარულებისთვის ცნობილია ხანი აბუასადის ფილმიდან „ომარი“. ამ ფილმმა 3 წლის წინ „ოსკარი“ მიიღო. ნინოს როლს კი ესპანელი მსახიობი მარია ვალვერდე ასრულებს, რომელიც ასევე ცნობილია მთავარი როლით ფილმში „სამი მეტრი ცის დონიდან“.

ფილმის მსოფლიო პრემიერა შარშან ამერიკაში პრესტიჟული საერთაშორისო კინოფესტივალის „სანდენსის“ ფარგლებში გაიმართა.

სამგლოვიარო განცხადებები



შვილები ზეზვა, ბეთქილ, ვალერიან, ნინო, ზვიად, შერგილ, შვილიშვილები დემეტრე, ანი, ანრი, გიორგი, მარიამ საღლიანები, რძლები ქეთინო მინდორაშვილი, თამრიკო საღლიანი, ინგა ლიპარტელიანი, ძმისშვილები ია, ვახო, მიშა გველესიანები, დისშვილები თემურ, გია ჭელიძეები, რძლები ნათელა მჭედლიშვილი, ინდირა ადამაშვილი, ლალი გივიაშვილი, მანანა ლაგვილავა, სიძე ემზარ ბაქრაძე შვილებით იუწყებიან

რაისა გველესიანი-საღლიანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: 5 მარტს, 14 საათზე;

მისამართი: ვორონცოვი, ხეთაგუროვის ქ. 4, მეორე სადარბაზო, მე-6 სართ. ბინა 37.

მაზლი გრიშა საღლიანი, მულები ეთერ, რიდა საღლიანები, მაზლიშვილები ერეკლე, მანანა, ლილე, ლელა, ხათუნა, გუნტერ, თეა, ლილი საღლიანები, მულიშვილები: აღუდა, ლუარა, ლალი გურჩიანები, მამუკა, კობა ჩხარტიშვილები, რძლები მარინე შერმადინი, მიმოზა გერლიანი, ნაირა აფციაური, მზია ბარნაბაშვილი, სიძეები გოგი ჩხარტიშვილი, ზაზა თოიძე, დათო ანსიანი, თამაზ ერაძე, გოჩა შამფრიანი შვილებით, ეთერ, გიორგი, მარიამ, ერეკლე, სანდრო საღლიანები, მონიკა, ანა, ლუკა შამფრიანები იუწყებიან

რაისა გველესიანი-საღლიანის

გარდაცვალებას.

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, თენგიზ კალანდაძე, თემურ კალანდაძე, სავალი მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ელიზბარ ღომინაძე, ოთარ ვასაძე, ვახტანგ კიკნაძე თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ მარინას მამის და ამირან გამყრელიძეს სიმამრის

ავთანდილ კვეზერელის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

მიხეილ ზაქარიაშვილი: „ვილოცოთ ზურა ვადაჭკორიასთვის“

რამდენიმე დღის წინ ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია ინსულტის დიაგნოზით ინგოროყვას საავადმყოფოში მოხვდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

როგორც მისმა მეუღლემ ჟურნალისტებს განუცხადა, ილუზიონისტი შეხვედრაზე იმყოფებოდა, როდესაც ცუდად გახდა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი მოუწოდებს ყველას, ილოცონ ზურა ვადაჭკორიასთვის:

– ვილოცოთ ზურა ვადაჭკორიასთვის, მეგობრებო, სხვა არაფერი დაგვრჩენია! ამ ზაფხულსაც ერთად ვმუშაობდით ურეკში მე და ზურა. ის ჩემი მეგობარია. ჩვენ მეგობრობის უამრავი წელი გვაკავშირებს და უკიდურესად გვჭირდება ლოცვების გაძლიერება, რომ გადარჩეს!

მას ინსულტი აქვს და აპარატზეა მიერთებული ინგოროყვას კლინიკაში!

უნიჭიერესი ილუზიონისტი ჩვენი ქვეყნის სიამაყე კაცია. გემუდარებით, მორწმუნენო, ილოცეთ მისი გადარჩენისთვის...

ნინი ცნობილაძე უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობს

ქართული „ვოისის“ შემდეგ ახალგაზრდა მომღერალი ნინი ცნობილაძე უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობს.

ნინი ქართულ პროექტში სტეფანესა და მაია დარსმელიძის გუნდში იყო და მათი მწვრთნელობით დიდ წარმატებებს მიაღწია.

თამარ წერეთლის შთამომავალი ხელოვანების ოჯახიდანაა და მისი სიმღერა არავის გაჰკვირვებია, თუმცა მისი გამორჩეული ხმა და შესრულების მანერა ბევრისთვის ნამდვილი აღმოჩენა გახდა.

მოგვიანებით ნინომ საკუთარი საცეკვაო შესაძლებლობებიც წარმოაჩინა და პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიღო მონაწილეობა, სადაც პარტნიორობას იაკობ ყუფუნია უწევდა.

23 წლის მომღერალი გათხოვდა და ახლა საკუთარი ნიჭის საზღვარგარეთ წარმოჩენის სურვილი გაუჩნდა, ამიტომაც უკრაინულ „ვოისში“ მონაწილეობს.

ნინის ხმა და შესრულების მანერა ისევე, როგორც ქართულ „ვოისში“, უკრაინულშიც ოთხივე მწვრთნელს მოეწონა და ის ემი უაინჰაუსსაც კი შეადარეს.

„ბინა 18“ დაიხურა

ტელეკომპანია ჯიდიესზე გადაცემა „გვიანი შუადღის“ შემდეგ კიდევ ერთი გადაცემა დაიხურა. ტელევიზიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდული იუმორისტული პროექტი „ბინა 18“ სამუდამოდ დაემშვიდობა მაყურებელს. მისმა წამყვანებმა ფაქომ და თემო მჟავიამ უკანასკნელად უმასპინძლეს სტუმრებს და ტელემაყურებელს ერთგულებისთვის მადლობაც გადაუხადეს.

ინფორმაცია გადაცემის დახურვის შესახებ მისმა მუსიკალურმა თანაწამყვანმა ნინი გოგიჩაიშვილმაც გაავრცელა:

– ძალიან დიდი მადლობა ჯიდიესს, რომ ვიყავი უმაგრესი გუნდის წევრი, გავიცანი საოცარი ადამიანები და მივიღე კარგი გამოცდილება! ძალიან მიყვარხართ!

ნუცა მახვილაძის სტიპენდია პარიზში ოფიციალურად დაწესდა

პარიზში, ამერიკულ უნივერსიტეტში, სადაც მაია ასათიანის გოგონა ნუცა მახვილაძე სწავლობდა, მისი სახელობის სტიპენდია ოფიციალურად დაწესდა.

ინფორმაცია უნივერსიტეტმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა და მოხალისეებს მიუთითა ოფიციალური ანგარიში, სადაც მათ სასურველი თანხის ჩარიცხვა შეეძლებათ.

როგორც სასწავლებლის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაშია ნათქვამი, სტიპენდია ყოველწლიურად გადაეცემა სტუდენტს საქართველოდან, რომელიც წარმატებული და ნუცასავით ბეჯითი იქნება.

ნუცას ხსოვნის უკვდავსაყოფად კი უნივერსიტეტში ნატვრის ხე დაიდგა, რომელსაც მისმა კურსელებმა, მეგობრებმა, ლექტორებმა ფერადი ნაჭრები შეაბეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

სათევზაო ბადეში გაბმულმა ლეოპარდმა ექვსი ადამიანი დააშავა

ინდოეთში სათევზაო ბადეში გაბმულმა ლეოპარდმა ექვსი ადამიანი დააშავა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მას მედია ავრცელებს.

ლეოპარდი მუზაფარპურის ოლქში ერთ-ერთი სოფლის მახლობლად მინდორში ისვენებდა. ადგილობრივებმა ცხოველი შენიშნეს. მათ მის გარშემო დაიწყეს თავის მოყრა, ამან კი მტაცებელი საკმაოდ გააღიზიანა.

სოფლელებმა გადაწყვიტეს, სპეციალისტს, რომელიც ცხოველის გაუვნებელყოფას ტრანკვილიზატორით შეძლებდა, არ დალოდებოდნენ. მოიტანეს თევზის საჭერი ბადე და ლეოპარდს ესროლეს.

ბადემ მტაცებლის დიდი ხნით შეკავება ვერ შეძლო. ლეოპარდმა ბადეს თავი დააღწია, სოფლის ექვს მცხოვრებს თავს დაესხა და გაიქცა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაშავებულების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მალე შემთხვევის ადგილზე სპეციალისტი მივიდა. ის ცხოველის კვალს გაჰყვა, მტაცებელი ტრანკვილიზატორის საშუალებით დააძინა, რის შემდეგაც ლეოპარდი გალიაში მოათავსეს.

ტუნისის ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ნიანგი ქვებით ჩაქოლეს

ზოოპარკის დამთვალიერებლებმა, რომელიც ტუნისის დედაქალაქში მდებარეობს, ნიანგი ქვებით ჩაქოლეს. მიღებული ტრავმების შედეგად მტაცებელი დაიღუპა.

ინციდენტი თებერვლის ბოლო დღეს მოხდა. მეორე დღეს ქალაქის ხელისუფლებამ ფეისბუქში გამოაქვეყნა მოკლული რეპტილიის ფოტოსურათი.

– დამთვალიერებლების ჯგუფი ქვებს თავში ესროდა ნიანგს. ამან ცხოველში შიდა სისხლდენა გამოიწვია, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა, – წერია ფოტოსურათებისთვის თანდართულ კომენტარში.

ზოოპარკის ვეტერინარი არნორ ენაიფერი ამტკიცებს, რომ მსგავს თავდასხმებს ხშირად აქვს ადგილი სხვა დიდ ცხოველებზეც, კერძოდ ლომებზე და ბეჰემოთებზე.

– ჩვენთან 150-ზე მეტი სახეობის ცხოველია. ჩვენ არ შეგვიძლია ყოველ მათგანს დაცვა დავუყენოთ. უბრალოდ ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ ცხოველებს პატივისცემით უნდა მოეპყრან, – განაცხადა ზოოპარკის ვეტერინარმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
6 მარტი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმი ოლივერი – დიდი ბრიტანეთი" **08.00** "მადაგასკარის პინგვინები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ნიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** დოკ/ფ "არქიტექტურა" **15.00, 03.10** "x სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**უძინარი სიეტლში**" (ტ.ჰენკსი) **01.00** მხ/ფ "**მაიამის პოლიცია**"(კ.ფარელი)

08.00 დ/ფ "მტკნარი წყლის ჯუნგლები" **09.00** დ/ფ "ბალადა დედოფლისთვის" **10.00** დ/ფ "კიდევ ცაცდე" **11.00** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **12.00** ტ/სერ. "**ეპას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**უკანასკნელ გზაზე**"

05.50, 14.40 სერ."**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაბარაქალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** იუმორინა **23.30** სერ. "**აგენტური**" **1" 2** სერ. **01.30** მხ/ფ "**ღარიბი მდიდარი ბოგონა**"

06.00 სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ოქროს გალია**" **19.00, 20.03** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** განსხვავებული აქცენტები **22.30** კომედი. კონცერტი - **2015**

08.00 ან/სერ. "ავატარი" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**შშობლები**" **13.00** სერ. "**სიმართლის ანატომია**" **15.00** მხ/ფ "**პრაქტიკული მაგია**" **17.00** სერ. "**საუნოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** მხ/ფ "**ფარული აგენტი**" **22.55** მხ/ფ "**განგსტერებზე მოგადირებები**" **01.00** მხ/ფ "**შურისძიება**" **02.50** მხ/ფ "**ნიქსონი**"

06.15 ღვთის სახლი **06.35** პატერიკი **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** დ/ფ "საგუშაგო კოშკი" **13.00** წმინდა ათონის მთა **13.10** საღვთისმსახურო წელიწადი-დეკანოზი თეიმურაზ თათარაშვილი **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** თბილისის ტაძრები-"ფერისცვალების დედათა მონასტერი" **15.10** ქართული ან/ფ **15.30** სპექტაკლი "გზაჯვარედინზე" **17.25** "ჯვარსახოვანი გზა" I ნაწ. **18.05** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.30** ერთი წვეთი **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **19.25** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება **2** კვირა **20.40** ძილი ნებისა "ბულბული" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** პატერიკი **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** დ/ფ "გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის დასაწყისი" **22.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ტაოკლარჯეთი" **01.00** სათავეებთან "ქართული ანბანი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**ჯარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**ვერონიკა**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.15** სერ. "**პაემანი**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

6 მარტისთვის

- აშშ დოლარი — 2.4289
- ევრო — 2.5581
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9824
- 100 რუსული რუბლი — 4.1506

ამინდის პროგნოზი 6 მარტისთვის

10 მარტიდან

120 ამბავი
ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



3 მარტიდან

გია ბულაძე
200 ამბავი მხატვრობაზე

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

1 მარტიდან

რეზო თაბუკაშვილი
13 დღე

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ავსტრალიელმა ძველ მოგებულ ლატარიის ბილეთს მიაგნო

ავსტრალიის ქალაქ ნიუკასლის მცხოვრებმა საკუთარ ნივთებში ძველი ლატარიის ბილეთი იპოვა, რომელსაც მილიონზე მეტი ავსტრალიური დოლარი ჰქონდა მოგებული.

მამაკაცმა ლატარიის ორგანიზატორებს აუხსნა, რომ გადაწყვიტა, შეეცვალა მუყაოები, რომლებიც სიმყარისთვის თავისი ჩანთების ფსკერზე ჰქონდა ჩაწყობილი. ერთ-ერთი მათგანის ქვეშ მან ლატარიის ბილეთი შენიშნა.

– მიხარია, რომ ჩანთები არ გადავყარე! – განაცხადა მამაკაცმა.

მართალია, გათამაშება ერთ წელზე მეტი ხნის წინ შედგა, მან თავისი მოგების 1.020.496,38 ავსტრალიური დოლარის მიღება მაინც შეძლო.

ეს ფული ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნდა მიმეღო, მაგრამ ამაზე აღარ ვდარდობ, – განაცხადა მან, – ყოველ შემთხვევაში, ახლა ხომ მაინც მივიღე.

იუმორი

...

ზოოპარკში იშვიათი ჯიშის გორილას სანახავად ქალი თავის 16 ბავშვთან ერთად მივიდა. დაწესებულების თანამშრომელი ეუბნება:

– უკაცრავად, ქალბატონო, მაგრამ დაგაგვიანდათ. ზოოპარკი უკვე იკეტება.

– ეს როგორ, რას მეუბნებით? – აღშფოთდა ქალი, – სპეციალურად გორილას სანახავად მოვედი ჩემ შვილებთან ერთად...

– ქალბატონო, ესენი ყველანი თქვენი შვილები არიან?

– დიახ.

– აქ დამელოდეთ, ახლავე გორილას მოვიყვან, დაე საკუთარი თვალით ნახოს...

●●●

დილით ადრე სამზარეულოში ქმარი ყავას სვამს. ცოლი ნაზად და ღიმილით ეუბნება:

– ძვირფასო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მალე 8 მარტია?

– რაა, ისევ???

●●●

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩვენთან სამსახურში ერთი ქალი გვყავს, „საპატიო დაფას“ ვეძახით.

– რატომ?

– ყველა ჩვენი საუკეთესო თანამშრომელია მასთან ნამყოფი.

●●●

მარტოხელა და ლოთმა მსახიობმა ცოლი მოიყვანა. პირველი ღამის მერე ახლობლები ეკითხებიან:

– აბა, როგორ ჩაიარა პრემიერამ?

– რისი პრემიერა, ეს სპექტაკლი ჩემამდე უამრავ მამაკაცს აქვს ნანახი. აქტებს შორის შესვენება და სადილი რომ არა, შეიძლება მაშინვე წამოვსულიყავი სპექტაკლიდან.

●●●

ქმარმა გადაწყვიტა კრედიტით მანქანა შეიძინოს, მაგრამ პირველად შენატანზე ფული არ ყოფნის. ცოლი ეუბნება:

– მაგაზე არ იდარდო, ხუთი ათასი მაქვს გადადებული.

– კი მაგრამ, საიდან ასეთი თანხა ძვირფასო?

– იცი რა, თავიდანვე გადავწყვიტე, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც სექსი გვექნებოდა, ერთი დოლარი გადამენახა.

– ღმერთო ჩემო, ეს რომ მცოდნოდა, დიდი ხნის წინ მივატოვებდი სამსახურს და მთელ დროს შენ დაგითმობდი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

ვიქტორ ჰიუგო
საბრალოები

23 თებერვლიდან	27 თებერვლიდან	2 მარტიდან	6 მარტიდან
ტომი I	ტომი II	ტომი III	ტომი IV

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

ბორჯღალოსანთა რთული გამარჯვება ესპანეთში

ესპანეთი-საქართველო 10:20

ესპანეთი: ლინქლეითერი, კასტილიონი (მენგიონი 71), სნი, ალვარესი, ხორბა, ბელი (ხიმენო 54), რუე (რამოსი 69); ლოპესი (ფ.ბლანკო 41), ბარნსი (აუსკი 41), ა.ბლანკო (საბალა 41), ნგავინდი, სანჩესი (გიომი 62), ვიანუევა, კანოსა (ფოულდსი 51), ჟიბუენი

საქართველო: კვირიკაშვილი, მათიაშვილი, კაჭარავა, შარიქაძე (ლიპარტელიანი 20), თოდუა (წიკლაური 78), ხმალაძე, ლობჟანიძე (ბეგაძე 63); თეთრაშვილი (მატარაძე 54), მამუკაშვილი (ბრეგვაძე 54), ბეკოშვილი (ტაბიძე 61), ნემსაძე, მიქაუტაძე (შუბითიძე 77), გიორგაძე (ცუცქირიძე 55), თხილაიშვილი, ლომიძე

გაგრძელება მე-9 გვერდზე

ამერიკელმა პლასტიკური ოპერაციები უცხოპლანეტელთან დასამსგავსებლად გაიკეთა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესის მცხოვრებმა 110-ზე მეტი პლასტიკური ოპერაცია იმისთვის გაიკეთა, რომ უცხოპლანეტელს დამსგავსებოდა.

22 წლის ვინი ოჰმა პლასტიკურ ქირურგიას პირველად ხუთი წლის წინ მიმართა, რათა გაედიდებინა ტუჩები. მას შემდეგ მან შეიცვალა ლოყების, წარბების და ტუჩების ფორმა ფილერის ათეულობით ინექციის გამოყენებით. გარდა ამისა, მას ხუთჯერ გაუკეთეს ცხვირის ფორმის კორექცია.

გარეგნობისთვის უფრო მეტად უცხოპლანეტური სახის მისაცემად, ის ატარებს შავი ფერის კონტაქტურ ლინზებს და წამახვილებულ დასაწებებელ ფრჩხილებს. ასევე თმებს კაშკაშა ფერებად იღებავს.

ტრანსფორმაციის დასასრულებლად, ის სასქესო ორგანოების, ძუძუს თავების და დუნდულების მოცილებას გეგმავს, ასევე უნდა შეიცვალოს შუბლის და ყურების ფორმა და ყბასა და ლოყებში სილიკონის იმპლატანტები ჩაიდგას. ყველა ამ პროცედურის ღირებულება 160 ათას დოლარს შეადგენს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. მდინარის სადინარი; 7. რუსი მწერალი-მეიგავე; 8. კოსმეტიკური საცხი; 9. საფეიქრო ბანანი; 10. ტოლგვერდა ოთხკუთხედი; 13. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 15. ტრანსპორტის სახეობა; 18. ავტორი ბალეტისა „დონ კიხოტი“; 20. მუსიკალური ჟანრი; 21. ბზრიალა; 23. ქალაქი აზერბაიჯანში; 24. ტროპიკების ნახევრად მაიმუნი.

შვეულად: 1. ციტრუსი; 2. ტუჩოსანთა ოჯახის მწვანილი; 3. ნაღვლიანი ელფერის მუსიკალური წყობა; 4. ქიმიური ელემენტი; 5. მთის მასივი ლეჩხუმში; 11. ტევადობის საზომი ინგლისსა და აშშ-ში; 12. იაპონური თეატრი; 14. სარტყმელი საკრავი; 16. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 17. რიცხვის მეათასედი; 19. მომღერალი ... ევორა (კაბო-ვერდე); 21. მუსლიმანი ქალის თავსაბურავი; 22. საშუალო ზომის მტაცებელი ცხოველი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ